91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის", „წინსვლის" და „საკოლმეურნეო სოფლის" წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე".

91 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკინდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი"
ვახუშტი ბაგრატიონი



თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №5-6 (7129) 14 მარტი, 2025 წელი

თერჯოლის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა საგაზაფხულო გამოფენიდან. ლიზი ფანჩულიძის ნახატი

გაზაფხული, დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

ზეიმია მამიდების, დეიდების, პატარძლების,
უეცარი გარინდების, უცაბედი ალტაცების,
მოწკრიალე ბადიშების, გოგონების თვალგიშერის,
მოქარგული ბალიშების, ატმის რტოთა გაგიჟების,
მზითევს იქსოვს ალვისტანა, რა ჩითია, რა ნართია,
ვარდმა ყლორტი აიტანა, რვა მარტია, რვა მარტია!
ხნულს მიჰყვება სამაია, რომ სიცოცხლემ იფოფინოს,
ქალი—იასამანია, ხან ზღვას მოჰგავს, ხან კი ღვინოს.
მოგილოცავთ, მაგ იაა ღირსი ქართველ ქალს
რომ რთავდეს,
მისი ძალა მაგიაა, რომ სიმღერა არ დამთავრდეს.
მოგილოცავთ ქალთა ნადიმს არტახების შვენის აშლა,
და თუ ვინმე ცალად დადის, გაზაფხული უდგას მაშველად.

ეს ლექსი, ცნობილ ქართველ პოეტს, ნელი გაბრიჩიძეს ეკუთვნის. ქალბატონი ნელი გოგნის მკვიდრი იყო. აღმერთებდა საყვარელ სოფელს, საქართველოს, თერჯოლას. ხშირად შემოივლიდა რედაქციაში, გვეფერებოდა, გაზეთის ნომრები მიჰქონდა. ბედნიერება იყო თუ მოგვიწონებდა, ლექსსაც დაგვიტოვებდა, აი ასეთებს—გულიდან ამოთქმულს... გვეამაყებოდა მასთან მეგობრობა, ძალას გვმატებდა.

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე) 85 წლისაა!

2025 წლის 26 თებერვალს, ქართული ეკლესიის უხუცეს მღვდელმთავარს, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტ გიორგი შალამბერიძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კურსების დედალვითისას დედათა მონასტერში აღესრულა წირვა და შესრულდა სამადლობელი პარაკლისი. სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები: მაღალყოვლადუსამღვდელოესი ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზ (ფაჩუაშვილი), მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა) და მაღალყოვლადუსამღვდელოესი მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი), ასევე ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი.

მეუფეს იუბილე მიულოცეს სხვადასხვა ეპარქიიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. მათ ისაუბრეს მიტროპოლიტ გიორგი შალამბერიძის მრავალწლიანი ნაყოფიერი სასულიერო მოღვაწეობის შესახებ. და უსურვეს კვლავაც მრავალი წელი ასე მხნედ და ერთგულად ემსახუროს დედაეკლესიას, მამულს, ღმერთსა და მოყვასს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა—მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, თერჯოლის საზოგადოებრიობა, გაზეთი „თერჯოლა", ერთხმად უერთდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მილოცვას ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ გიორგი შალამბერიძისადმი მისი დაბადების 85 წლისთავის გამო.

მრავალჟამიერ მეუფეო! ღმერთმა შეგაძლებინოთ, რომ კვლავაც მხნედ და თქვენეული შემართებით ემსახუროთ ტყიბულისა და თერჯოლის სამწყსოს, ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიას, სრულიად საქართველოს! ☞2

გაზაფხულში გადმოსული ზამთარი...

სწორედ ასე დაგვამახსოვრა თავი 2024-2025 წლების ზამთარმა, განსაკუთრებით კი მისმა ბოლო თვე—თებერვალმა...

როგორც ძველი თაობის მრავლისმნახველები ამბობენ, თუ თოვლი ზღვიდან ანუ დასავლეთიდან მოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ნალექი განსაკუთრებულად უხვი და ინტენსიური იქნება...

თებერვლის მესამე დეკადის დიდთოვლობაზე შესაბამისმა სამსახურებმა გაგვაფრთხილეს კიდეც... მართლაც უხვად ჩამოთოვა...

და იქ, სადაც ზამთრისათვის თადარიგი დროულად დაიჭირეს დიდთოვლობით გამოწვეულ პრობლემებს ბევრად ოპერატიულად გაუმკლავდნენ, ვიდრე სადაც ეს ვერ გააკეთეს...

ეს შენიშვნა ყველა ჩვენგანს ეკუთვნის, თითოეულ მოქალაქესა თუ იმ საჯარო მოხელეს, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია სტიქიური მოვლენების გამკლავების საქმეში.

არ შევალთ იმ თემების განხილვაში თუ როგორი ვითარება იყო საქართველოს რაიონებში, სადაც თოვლის საფარი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ აუცილებლად ვიტყვით ჩვენი მუნიციპალიტეტის თაობაზე, სადაც არც თოვლის ინტენსივობა იყო სუსტი და არც ყინვები.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მუნიციპალიტეტმა თებერვლის დიდთოვლობის გამოცდა კარგად ჩააბარა... ☞3

გაზაფხული, დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

მიუხედავად გაზაფხულში გადმოსული ზამთრისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად, ჩვეული სითბო-სიყვარულით გაჯერებული განწყობით აღინიშნა გაზაფხულის პირველი დღესასწაულები—დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე...

გაიხსნა საგაზაფხულო და სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი გამოფენა თერჯოლის სამხატვრო სკოლაში, ამ დღეების აღსანიშნავად საინტერესო ღონისძიება გაიმართა საჯარო ბიბლიოთეკაში. დიდთოვლობის მიუხედავად მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, პირადად მოინახულა სოფელ ქვედა სიმონეთში მოხუცთა თავშესაფარის ბენეფიციარები. იგი სადღესასწაულოდ ოჯახებში ესტუმრა აფხაზეთსა და აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს და მათ დედებს, დაბადებიდან 100 წელი მიულოცა სოფელ საზანოში მცხოვრებ უხუცეს ქალბატონ ჟენია ჩუბინიძეს.

თერჯოლელები მონონებითა და კმაყოფილებით შეხვდნენ სადღესასწაულო დღეებში თერჯოლელი ახალგაზრდებისა და პირადად მუნიციპალიტეტის მერის მიერ თერჯოლის ქუჩებში და დაწესებულებებში მანდილოსნებისათვის ყვავილების მირთმევას, როგორც მათი დაფასების და პატივისცემის სიმბოლურ ჟესტს.

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე) 85 წლისაა!

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ გიორგის (შალამბერიძე)

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, გულითადად გილოცავთ დაბადებისან 85 წლისთავს.

შეიძლება ითქვას, თქვენ მთელი ცხოვრება ეკლესიის წიაღში გაატარეთ და დღემდე დაუღლელად ემსახურებით მას.

დიდია თქვენი ღვაწლი ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიაშიც.

თქვენი მღვდელმთავრობის პერიოდში მრავალი ეკლესია და მონასტერი გაიხსნა აქ და სულიერი ცხოვრება განახლდა.

ღმერთმა შეგაძლებინოთ კვლავაც შემართებით ემსახუროთ თქვენს სამწყოს და მრავალი ღვთისსათნო საქმე აღგესრულებინოთ.

მრავალჟამიერ, მეუფეო.

ქრისტესმიერი სიყვარულით, ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

მიტროპოლიტი გიორგი, ერისკაცობაში გური პორფილეს ძე შალამბერიძე, დაიბადა 1940 წლის 25 თებერვალს ბაღდადის რაიონ სოფელ ფერსათში. საშუალო სკოლა დაამთავრა ფერსათში, შემდეგ თავისი ძმის - ცნობილი სასულიერო პირის ვიქტორ შალამბერიძის - რჩევითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით სნავლა განაგრძო ლენინგრადის (პეტერბურგი) სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს. 1971 წლის 23 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ იგი აკურთხა მღვდლად და დანიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგად. სემინარიაში იგი კითხულობდა ღვთისმეტყველების საგნებს. 1971-1974 წლებში ღვთისმსახურებას ალასრულებდა თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში. 1974-1978 წლებში - ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში. მამა გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრების მუშაობაში და მხარს უჭერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს - ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას. 1978 წლის 16 მარტს იგი დაინიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ნინამძღვრის მოადგილედ. 1980 წლის იანვრიდან 1988 წლის ოქტომბრამდე იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი.

1988 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამორჩეული იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად.

როგორც მეუფე გიორგი აღნიშნავს: "მე ახალგაზრდობიდანვე გულმა ეკლესიისაკენ გამიწია. ამ გზაზე აწ გარდაცვლილმა დედაჩემმა დამილოცა მომავალი. ჩემი უფროსი ძმა ვიქტორ შალამბერიძე ცნობილი სასულიერო პირი იყო კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის დროს, მანვე წარმადგინა პატრიარქთან და ჩემი სურვილი გადასცა. უწმიდესმა მელქისედეკმა დამლოცა და მითხრა: "კარგია რომ სასულიერო პირად გახდომა მოგსურვებია, მაგრამ ჯერ კეისარს მიეცი კეისრისაო, სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადე და მერე ვიფიქროთ ამ თემაზეო". მეც აღვასრულე მისი კურთხევა. შემდეგ ვისწავლე ჯერ სემინარიაში, მერე კი პეტერბურგის (იმხანად ლენინგრადის) სასულიერო აკადემიაში. როცა საშშობლოში დავბრუნდი კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ ჯერ ქუთაისის წმიდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში დამადგინა, დროთა განმავლობაში მცხეთაში გადმომიყვანეს სვეტიცხოველში...

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებამდე საქართველოში სულ 50-მდე მოქმედი ეკლესია იყო თითზე ჩამოსათვლელი სასულიერო პირებით. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიდი შრომა გასწია საქართველოს ეკლესიის ფეხზე ნამოსაყენებლად. სნორი, გონივრული ტაქტიკა, ათეისტურ ხელისუფლებასთან წარმოებული ბრძნული პოლიტიკით ნელ-ნელა დაიწყო გაერანებული და გაუკაცრიებული ეკლესიების აღდგენა.

გადიოდა წლები და საქართველოს ეკლესია ძალას იკრებდა. უფალმა მეც მრავალი კეთილი საქმის შემსნრე და უშუალო შემსრულებელი მამყოფა...

ჩემთვის დიდი პატივი იყო მღვდელმთავრად გამორჩევა და ჭყონდიდის ეპარქიის ჩაბარება. XX საუკუნის 80-იანი წლებისთვის ეპარქია მთელ სამეგრელოს მოიცავდა. ამოდენა ეპარქიაში მოქმედი იყო: სენაკში მენჯის სავანე, თეკლათის დედათა მონასტერი, ქ. ფოთის ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი და ახლადგახსნილი მარტვილის მონასტერი.

ეპარქიაში ჩასვლისთანავე გადავწყვიტე ყველაფერი მელონა იმისათვის, რომ ღმერთის დაშორებული ხალხი ეკლესიისაკენ შემომებრუნებინა.

ოცნებად მქონდა ქცეული, რომ სამეგრელოს ყველა რაიონში თითო სასულიერო პირი და თითო მოქმედი ეკლესია ყოფილიყო. დავიწყეთ ნელ-ნელა ხალხში გასვლა, ჯერ კიდევ შემორჩენილ მორწმუნეთა გარს შემოკრება, ხელმოწერების შეგროვება ტაძრების გახსნის მოთხოვნით.

უნდა ითქვას, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და შეკავებისა მაინც შევძელით გაგვეხსნა ზუგდიდის დადიანების კარის ეკლესია, ნალენჯიხის მონასტერი, ხობის მონასტერი, ცაიშის ეკლესია.

ტაძრის ამოქმედება იოლი საქმე არ იყო. ჯერ ხალხში უნდა შეგროვილიყო ხელმოწერები, მერე ადგილობრივ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს მიმართავდნენ, იქიდან თხოვნას აგზავნიდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან, რწმუნებული საბუთებს აგზავნიდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, რომლის განწყობაზე იყო დამოკიდებული ნებისმიერი ეკლესიის ამოქმედება. თანხმობის შემთხვევაში პატრიარქსა და ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება ეძლეოდათ ახლად გახსნილ ეკლესიაში დაედგინათ მოძღვარი. ამის შემდეგ სხვა პრობლემები იწყებოდა.

იმხანად ეკლესიები სახელმწიფოსაგან იბეგრებოდა ანუ რაიონულ საფინანსო ორგანოს ნარმომადგენლებს შეეძლოთ, თუ მოქმედი ეკლესია სახელმწიფო გადასახადს ვერ გადაიხდიდა, ტაძრის დახურვა მოეთხოვა. ეკლესიის ერთადერთ შემოსავალს გაყიდული სანთლიდან მიღებული თანხა და მღვდელმოქმედებაში აღებული შემონირულობა შეადგენდა. ახალგახსნილ ეკლესიებში ძირითადად გაჭირვებული მოხუცები დადიოდნენ...

თითქმის 19 წელი ვიყავი ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმთავარი, ყველა ეკლესიასთან და სამრევლოსთან დიდი სიყვარული მაკავშირებს."

მეუფე გიორგის ღვაწლით ჭყონდიდის ეპარქიაში ამოქმედდა სუჯუნის, სეფიეთის, ტყვირის, მაიდანის, მარანის, აბაშის ეკლესიები. 1992 წლის 21 დეკემბერს ეპისკოპოს გიორგის ებოძა მთავარეპისკოპოსობა, 2000 წლის 28 ნოემბერს მიტროპოლიტობა. 2007 წლის 21 დეკემბერს დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით.

2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი გიორგი დადგენილ იქნა ახლადშექმნილი თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მმართველად. ახალი ეპარქია ისტორიული გაენათის ეპარქიის ნაწილს მოიცავს. მეუფე გიორგი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა და დღესაც აგრძელებს ახალ ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების აღორძინებას. მიტროპოლიტი გიორგი არის ღვთისმეტყველების დოქტორი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მღვდელმთავარი.

მრავალჟამიერ მეუფევ!

გაზაფხულში გადმოსული ზამთარი...

ჩვენი შეფასების მტკიცებად რამდენიმე ფაქტის მოყვანაც იკმარებს...

ფაქტი პირველი—ინტენსიური თოვლცვენის პირველივე დღეებში დაინყო ქალაქის და სასოფლო ცენტრალური გზების გაწმენდა. სნორედ ამის გამო არ დაფიქსირებულა ფაქტი, რომ რომელიმე სოფელი ჩაეკეტა თოვლის საფარს და მოენყვეტა რაიონის ცენტრიდან.

ფაქტი მეორე—არ ყოფილა რაიმე გრძელვადიანი შეფერხება მოსახლეობისათვის ელენერგიის, ბუნებრივი აირის მიწოდებისა და ნყალმომარაგებაში, ინტერნეტკავშირებში...

ფაქტი მესამე—გამარჯულად იმუშავეს მუნიციპალიტეტის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებმა—საავადმყოფოებმა, სასწრაფო დახმარების სადგურმა, სახანძრო-სამაშველო თუ მუნიციპალიტეტის ქვემდებარე სამსახურებმა...

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის საგანგებო ჯგუფს, რომელიც მერის ხელმძღვანელობით უნევდა კოორდინაციას დიდმანუჩარ რობაქიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა, სადაც ჩხარი-ეწრის თემში თოვლის საფარმა ერთ მეტრს გადააჭარბა.

მოძრაობის შეფერხების აღმოსაფხვრელად მობილიზებულია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური და ტექნიკა, რომ წარმოქმნილი გამოწვევები დროულად და ოპერატიულად გადაიჭრას.

შეუფერხებლად მუშაობს სამაშველო, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარების სამსახურები. აღნიშნულ ლოკაციებზე გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მომდინარეობს.

სამუშაოებს მუნიციპალურ ტექნიკასთან ერთად კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები აწარმოებენ. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით—ამ ეტაპისთვის 24 ერთეული ტექნიკაა მობილიზებული ცენტრალური და საუბნო გზების გასაწმენდად. ვისაც საკვების, წყლის, მედიკამენტების და პირველადი

თოვლობის პერიოდში ყველა საჭირო სამუშაოს განხორციელების, უკვე პქონდა კარგი პრაქტიკა გაელილი მუნიციპალიტეტში ნოემბერ-დეკემბერში მოსული თოვლის გამო.

ისიც კარგი იყო, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ინტენსიური თოვლცვენის დაწყებისთანავე გამოაქვეყნა ინფორმაცია მოსახლეობისათვის. მიანოდა მათ საკონტაქტო ტელეფონები გადაუდებელი აუცილებლობისათვის კავშირის დასამყარებლად.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციები შემდგომშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა.

გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ინფორმაციას, რომელიც დიდთოვლობის დაწყებისთანავე გამოქვეყნდა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში თოვლის სახით მოსული უხვი ნალექისაგან ქალაქისა და სოფლის გზების გაწმენდა აქტიურად გრძელდება.

გზების გაწმენდის მორიგ მონიტორინგზე, 26 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წევრი, ზვიად შალამბერიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერ მანუჩარ რობაქიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა, სადაც ჩხარი-ეწრის თემში თოვლის საფარმა ერთ მეტრს გადააჭარბა.

მოძრაობის შეფერხების აღმოსაფხვრელად მობილიზებულია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური და ტექნიკა, რომ წარმოქმნილი გამოწვევები დროულად და ოპერატიულად გადაიჭრას.

შეუფერხებლად მუშაობს სამაშველო, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარების სამსახურები. აღნიშნულ ლოკაციებზე გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მომდინარეობს.

სამუშაოებს მუნიციპალურ ტექნიკასთან ერთად კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები აწარმოებენ. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით—ამ ეტაპისთვის 24 ერთეული ტექნიკაა მობილიზებული ცენტრალური და საუბნო გზების გასაწმენდად. ვისაც საკვების, წყლის, მედიკამენტების და პირველადი საჭიროების ნივთების პრობლემა აქვთ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ.

მოქალაქეებს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლიათ დარეკონ მერიის ადმინისტრაციულ გვერდზე მითითებულ შემდეგ ნომრებზე:

მანუჩარ რობაქიძე—599 21 36 37,
ზვიად ბაზაძე—595 41 54 97,
მირზა ქოჩიაშვილი—577 39 05 60,
გოდერძი თურქაძე—555 50 31 10
დიანა ფოცხვერაშვილი—599 76 16 35
მერიის ცხელი ხაზი—599 10 09 46
0 491 24 44 64

როგორც ჩვენ ინფორმაცია მიეიღეთ, აქ მითითებულ ექვს საკონტაქტო ნომერზე, სულ რაღაც 5 დღეში ათეულობით თხოვნა შეეიდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ოპერატიულად დაკმაყოფილდა.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდთოვლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს კარგად გაართვეს თავი „ენერგოპროჯორჯიას“ და „სოკარგაზის“ თერჯოლის სერვისცენტრის თანამშრომლებმა.

ჩვენთან საატელეფონო საუბარში „სოკარგაზის“ თერჯოლის სერვისცენტრის ხელმძღვანელმა **გიგა ზაუტაშვილმა** განაცხადა, რომ ბუნებრივი არის მიწოდება მუნიციპალიტეტის 11467 აბონენტიდან არცერთს არ შეწყვეტია, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია.

განსაკუთრებით ცალკე აღნიშვნის ღირსია ენერგომომარაგება, რომელიც თავის მიწოდებას საპაერო ქსელის გამო, ბევრად უფრო მოწყლადია სტიქიური მოვლენების—განსაკუთრებით თოვლცვენისა და ქარების შემთხვევაში. გვესაუბრება თერჯოლის სერვისცენტრის მენეჯერი **ალეკო ტორაძე.**

ბატონ ალეკოსთან საუბარი საკმაოდ ვრცელი გამოგვივიდა. ბევრ თემას შევეხეთ. დავინყეთ იქედან თუ სულ რამდენი აბონენტია, როგორია საბონენტო გადახდები, როგორც კომერციული სტრუქტურებიდან ისე მოსახლეობის მხრივ.

საუბარი გვქონდა გადამცემი ხაზების დაცვის ზონების ხე-მცენარეებისაგან განმენდაზე, თვითნებურ მიერთებებზე, ელექტროენერგიით ხანძრის კერების წარმოქმნის თავიდან აცილების პრევენციულ ღონისძიებებზე და სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

და რა თქმა უნდა, დაწვრილებით ვისაუბრეთ თუ როგორ მოემზადა სერვისცენტრი 2024-2025 წლების ზამთრისათვის, რა მდგომარეობა შეიქმნა დიდთოვლობის პერიოდში, როგორ გაუმკლავდნენ მას...

დღევანდელ „თერჯოლაში“ ზამთრის პერიოდზე ჩვენი საუბრის სწორედ ამ ნაწილს ვთავაზობთ გაზეთის მკითხველებს.

ალეკო ტორაძე:

„უპირველესად აღვნიშნავ, რომ ზოგადად ზამთრის სეზონისთვის მზადება გარკვეულ სამუშაოთა კომპლექსს მოიცავს, რაც გეგმის სახით გაწერილია წლის ჭრილში. შესაბამისად წლის განმავლობაში ტარდება ქსელის გეგმიური შემოვლა-დათვალიერება, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათ შორის ამორტიზებული საყრდენების, საფენების, სატრანსპორტო პუნქტებისა და ძალოვანი ტრანსფორმატორების ჩანაცვლება ახლით. აგრეთვე, საპაერო ელექტროგადამცემი ხაზების (სეგხ) დაცვის ზონების ხე-მცენარეებისაგან განმენდის სამუშაოები.

ამ მხრივ 2024 წელს, გარკვეულ ფიდერებზე განხორციელდა ქსელის ოპტიმიზაციის პროექტები:

ა) ქ/ს „თერჯოლს-110“-დან 10 კვ ფიდერი „წყალსადენზე“, რომლის მეშვეობითაც ძაბვას იღებს სიქთარვაში მდებარე თერჯოლის წყალსადენი, აეარიების შემცირების მიზნით წყალსადენის ეზოში მოეწყო ახალი ვაკუუმური ამომრთველი.

ბ) ამავე ფიდერის განტვირთვის მიზნით განხორციელდა პროექტი, რომლის მეშვეობით სოფ. სიქთარვის საყოფაცხოვრებო აბონენტები ჩამოშორდა ფიდერ „წყალსადენს“ და დაერთდა ახლადაშენებულ ფიდერ „მეტიმპექსზე“, რითაც მკვეთრად გააუმჯობესდა აბონენტთა ელმომარაგება ორივე ფიდერზე.

გ) ქ/ს „საზანოს 35“-ის 10 კვ ფიდერ „საზანო“-ზე მოხდა რთული რელიეფური მდებარეობის 10 კვ სეგხ-ის 1,5 კმიანი მონაკვეთის მშენებლობა, რამაც მნიშვნელოვნად დადებითად იმოქმედა საზანოსა და თუზის თემის აბონენტთა უწყვეტ ელმომარაგებაზე.

დ) სრულად გარემონტდა ზედა ალისუბნისა და თუზის სკოლების ტერიტორიაზე განთავსებული კომპანიის კუთვნილი საატრანსფორმატორო პუნქტების ამორტიზებული შენობები.

ე) სხვადასხვა ფიდერზე ახლით შეიცვალა და დამონტაჟდა 20 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორი.

ვ) გარკვეული სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სათამაშო მოედნების სიახლოვეს, მათ შორის ზემოხსენებული ორივე სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების საიმედოობის გაზრდის მიზნით მოხდა კომპანიის კუთვნილი კომუნიკაციების ტერიტორიიდან გატანა ან მიშველი სადენების იზოლირებული კაბელებით ჩანაცვლება და მიწისქვეშა საკაბელო არხებში ჩალაგდა.

ზამთარმა გამოცდა მალე მოგვინყო თებერვლის დიდთოვლობამდე, 2024 წლის ნოემბრის ბოლოს, სველი თოვლის სახით მოსულმა მძიმე ნალექმა სერიოზული ავარიული კერები წარმოშვა მთელი იმერეთის მასშტაბით. მათ შორის ძეგრულპესიდან გამავალი 10 კვ ფიდერ „წყალმიმლებზეც“, რომლითაც ძაბვას იღებს ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელი გოგნი. ხაზი, რომლის სიგრძე დაახლოებით 12 კმ-ია, აშენებულია რელიეფურად რთულ მონაკვეთზე და ანძებს შორის მანძილი ზოგან 400-450-ს აღემატება.

ნინწკილის მიდამოებში, მძიმე და უხვმა თოვლმა გადატეხა მაღალი ძაბვის რკინის კონსტრუქციის №17 ანძა, რომელიც სწორედ ასეთ მალებს აერთიანებდა და 5 სხვადასხვა მალში დაწყვიტა საფენები.

მომსახურების ცენტრის ძალებით ოპერატიულად იქნა შემუშავებული ალტერნატიული გეგმა, რომლის განხორციელებას საკმაო ძალისხმევა დასჭირდა. დაზიანების კერამდე მასალისა და სპეცტექნიკის ტრანსპორტირებისათვის საჭირო გახდა მისასვლელი გზის მოწყობა მძიმე ტექნიკის მეშვეობით. ახალი ანძის აშენება, ხაზის აღდგენა და მოსახლეობისათვის ძაბვის მიწოდება შესაძლებელი გახდა დაზიანების მეორე დღესვე.

აქვე გვსურს მადლიერებით აღვნიშნოთ აღდგენითი პროცესის მიმდინარეობისას ადგილობრივი ხელისუფლების, უშუალოდ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის და მერის მოადგილეების (რომლებიც მსგავს შემთხვევაში ყოველთვის გამოთქვამენ მზადყოფნას), ასევე სოფ. გოგნის რწმუნებულისა და მოსახლეობის ნარმომადგენელთა აქტიური მხრდაჭერა.

აღნიშნული დაზიანებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ხაზზე დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოების ნარმოება, რაც მყისიერად დაიგეგმა და განხორციელდა მომდევნო დღეებში. კერძოდ გრძელ მალებში, სადაც რელიეფი ამის საშუალებას

☞ 12

ისტორიული ოქრო

2025 წელი სრულიად საქართველოს და ქართული სპორტისთვის ისტორიული წელია—9 თებერვალს გაიხსნა და 16 თებერვალს დასრულდა EYOF 2025 ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში. ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე, ოლიმპიური მშვიდობის ცეცხლის ანთებისას ითქვა - ჩვენ ყველას, 45 ევროპულ ქვეყანას, გვაერთიანებს ერთი საერთო მიზანი - ვიცხოვროთ ჯანსაღ, ერთიან და მშვიდობიან ევროპაში.

ბაკურიანის ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენმა თანამემამულე ინგა გურგენიძემ ქართული სპორტის ისტორიაში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველმა მოიპოვა ჩემპიონობა და ოქროს მედალი.

ამ ისტორიული გამარჯვებიდან სულ მოკლე დროში ჩვენმა ჩემპიონმა, კიდევ ერთხელ გაგვახარა—იგი ვერცხლის მედალს დაეუფლა ციგურაობაში უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გამართულ იუნირთა მსოფლიო ჩემპიონატზე. სრულიად საქართველოს, ყველა სპორტსმენსა და გულშემატკივარს, პირადად ჩვენს პირველ ჩემპიონს კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ გამარჯვებებს და მომავალ დიდ წარმატებებს ვუსურვებთ მას.

დაპირებისამებრ, ბაკურიანის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე.

ოლიმპიური ფესტივალის წარმატებულად ჩატარებით, საქართველომ მსოფლიო რუკაზე თავი დაიმკვიდრა, როგორც ზამთრის სპორტისთვის მიმზიდველმა ქვეყანამ.

ფესტივალით, რომელშიც 45 ქვეყნის 1000-მდე ათლეტი და 700-ზე მეტი ოფიციალური პირი მონაწილეობდა, საქართველო შეუერთდა ევროპული ქვეყნების შეიდეულს, რომლებმაც როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის ოლიმპიურ შეჯიბრებებს უმასპინძლა.

საქართველოს მთავრობის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით, სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მონაწილეობით—სპორტული ინფრასტრუქტურიდან დაწყებული, კომფორტული სასტუმროებით დამთავრებული, ზამთრის სპორტული კულტურის პოპულარიზაციაზე, გრძელვადიანი გათვლით, თბილისში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების ახალი ყინულის მოედანი, ბაკურიანში ბიატლონის სტადიონი, რომელიც ასევე აღჭურვილია მსოფლიოში ერთერთი ყველაზე საუკეთესო სასროლეთი სისტემით და ბათუმში ყინულის სასახლე, რომლებიც სრულად შეესაბამებიან უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს.

• • •

ფესტივალის მზადების პროცესში მთელი საქართველო იყო ჩართული. იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტი ბაკურიანს სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობით დაეხმარა.

სხვათა შორის, თერჯოლა პირველი იყო ჩვენი რეგიონის სინამდვილეში, სადაც სოფ. ძევრის - საგვარჯილეს რეკრეაციულ სივრცეში, 2024 წლის 6 ოქტომბერს, ოლიმპიზმის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, პირველად აღლერდა „ბაკურიანი 2025 „- ის ჰიმნი და ეს შეძლეს თერჯოლის მოსნაკვეთახალგაზრდების ჯგუფმა. ასევე, **თერჯოლა იყო გამორჩეული ფესტივალის მოხალისეთა პროგრამაში. ორგკომიტეტის მიერ კონკურსის წესით შეირჩა და ფესტივალის მოხალისეთა გუნდში ჩაირიცხნენ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებულები, ამჟამად აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მარიამ მარუაშვილი და ანა მაკარიძე...**

თერჯოლამ თავი გულშემატკივრობითაც გამოიჩინა—ვსარგებლებ შესაძლებლობით და მადლობას ვუხდი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურს, მის ხელმძღვანელს მაკა ასათიანს. მათ ბათუმში, ყინულის მოედანზე ფიგურულ სრიალში უგულშემატკივრეს ჩვენს სპორტსმენს, ინგა გურგენიძეს, რომელიც ჩვენთვის ისტორიულ ოქროს მედალს სნორედ ამ სახეობაში დაეუფლა.

ფესტივალის პროგრამის ფარგლებში აქტიურად იყო ჩართული ქუთაისი—აქ განთავსებულ საერთაშორისო აეროპორტში ევროპის 20 - მდე ქვეყნის სპორტული და ოფიციალური დელეგაციების მიღებით.

ოლიმპიური ჩემპიონის, ირაკლი ცირეკიძის მონაწილეობით ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ისტორიულ 100 საფეხურიან კიბესთან, ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ფესტივალს მიეძღვნა სიმბოლური ოლიმპიური ჩირაღდნის აღმართვა, თემატური ნუმიზმატური გამოფენა „ოლიმპიური სპორტი და ნუმიზმატიკა“.

ფესტივალზე ჩამოსულ დელეგაციებს შეხვედრას უწყობდნენ მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები, ქუთაისის საპატიო მოქალაქეები, რაც გახდა საფუძველი, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს - სპიროს კაპრალოსს, ფესტივალის წარმატებულად ჩატარებაში მადლიერების გამოხატვით, შეეფასებინა და ორგანიზატორი ქალაქები თბილისი, ბორჯომი, ბათუმი და მასთთან ერთად, ხაზგასმით გადაეხადა მადლობა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის - ოლიმპიური ფესტივალის მხარდაჭერის, თანადგომისა და პოპულარიზაციისათვის.

ქართული ფანტასტიკა - მე ასე შევაფასებდი გახსნის ცერემონიალს, როცა სულშეკრული ვუყურებდით ოლიმპიური ხუთი რგოლის გამოყენებით ანსამბლ „აფხაზეთის“ მიერ შესრულებულ ქორეოგრაფიულ კომპოზიციას, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა - როკვას ქართული გენისას!

არა მარტო ევროპამ, მთელმა მსოფლიომ იხილა გახსნის ეს საოცარი ცერემონია, რაც დასტურია საქართველოს მდიდარი ტრადიციებისა.

ყველგან, სადაც ჩამოსულ სტუმრებს ვხდებოდი, ყველანი კმაყოფილებას გამობატავდნენ.

„ძალიან ბედნიერები და იღბლიანები ვართ. მადლობა ორგანიზატორებს; მოხალისეებს, ვინც ფესტივალის ყველა მონაწილის ცხოვრება გაალამაზა“.

საფრანგეთის, ესტონეთის, უნგრეთის, სლოვენიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, სპორტსმენებმა და დელეგაციის წევრებმა ჩემთან საუბარში აღნიშნეს, **„საქართველოში გავატარეთ მთელი კვირა, 7 შთამბეჭდავ დღესთან ერთად იყო ფანტასტიკურად ჩატარებული სპორტული შეჯიბრებები და სრულყოფილი პირობები“.**

45 ქვეყანას შორის საქართველომ პირველად დაიკავა წინა ფესტივალებისაგან განსხვავებით მაღალი ადგილი.

მე - 15 ადგილით, ინგა გურგენიძის ოქროს მედლის მოპოვებით, საქართველოს ნაკრებმა გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა - გერმანია, ფინეთი, დანია, სლოვენია. ეს მაჩვენებელი ოლიმპიური ფესტივალების ისტორიაში, ყველაზე საუკეთესოა.

Bakuriani 2025-ის დასრულებასთან ერთად, EOC-ის დროშა გადაეცა ბრაშოვს, რომელიც EYOF 2027-ის მასპინძელი იქნება!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“) და საპრივატიზაციო ობიექტები

2025 წლის 5 მარტს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

ხაზგასასმელია, რომ სხდომას ესწრებოდნენ ოპოზიციური პარტიების დეპუტატები საკრებულოში.

სხდომამ სულ 7 საკითხი განიხილა. მათ შორის იყო 2025 წელში თერჯოლის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და 2025 წელში საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გასულ წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში სულ განხორციელდა 63 ინფრასტრუქტურული პროექტი, რისთვისაც ამ მიზნით პროგრამით მიღებულ 690,0 ათას ლართან ერთად დაიხარჯა მერიის თანადაფინანსებით გამოყოფილი 125,0 ათასი ლარი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაამართლა მერიისა და მოსახლეობის შეჯერებულმა თანამონაწილეობამ—მათივე ჩართულობით, მერიის მიერ მინოდებული ბეტონის ხსნარით გზების მოწყობამ.

გასულ წელს, ამ ფორმით ჯამურად მოეწყო 2500 გრძივი მეტრი გზა მუნიციპალიტეტის ცხრამეტივე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რისთვისაც მერიის მიერ შეძენილი იქნა 900.0 მ³ ბეტონის ხსნარი (200,0 ათასი ლარი).

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეს კარგი პრაქტიკა მიმდინარე წელსაც გაგრძელდება და მუნიციპალიტეტის მერია ამ მიზნით ორჯერ მეტ თანხას დახარჯავს.

რაც შეეხება მიმდინარე წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მათი ნუსხა, 5 მარტს უკვე დაამტკიცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ. ნუსხაში სულ 66 პროექტია (იხილეთ დანართი).

მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე სხდომაზე ასევე დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტები 2025 წლისათვის (იხილეთ დანართი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2025 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250642)

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი—ძევრში მინი სტადიონის მოწყობა 16 000 ლარი

ოქონა—ძევრში მინი სტადიონის მოწყობა 16 000 ლარი

სეფარეთი—სასმელი წლის სისტემის რეაბილიტაცია 10 000 ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები 16 000 ლარი

მაცხოვარი—გარე განათების სისტემის მოწყობა 16 000 ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა 16 000 ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—ჭალის უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა 20 000 ლარი

კაკაბოური—მაჩიტძეების უბანში გზის ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

თავასა—ქულიაშვილების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა 12 000 ლარი

ჯგილათი—სოფლის უბნებში ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 10 000 ლარი

ვარდიგორა—ჩაფიჩაძეების უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა 16 000 ლარი

ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—საეკლესიო გზაზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 10 000 ლარი

საზანო—საეკლესიო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 10 000 ლარი

დელტასუბანი—გარე განათების სისტემის მოწყობა 16 000 ლარი

შიმშილაქედი—გარე განათების სისტემის მოწყობა 8 000 ლარი

შიმშილაქედი—სასაფლაოს მიმდებარედ საპირფარეშოს მოწყობა 2 000 ლარი

ჩიხორი—საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 12 000 ლარი

მუჯირეთი—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 8 000 ლარი

მუჯირეთი—სანიაღვრე სისტემის მოწყობა 2 000 ლარი

სკანდე—საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 16 000 ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. ალისუბანი—გარე განათების სისტემის მოწყობა 20 000 ლარი

ზედა ალისუბანი—სკოლის ეზოს შემოღობვა 14 000 ლარი

ზედა ალისუბანი—სასაფლაოს ჭიშკრის მოწყობა 2 000 ლარი

ზარნაძეები—გარე განათების სისტემის მოწყობა 3 000 ლარი

ზარნაძეები—სანიაღვრე სისტემის მოწყობა 2 000 ლარი

ზარნაძეები—წყლის მაგისტრალის მოწყობა 7 000 ლარი

თხილთაწყარო—საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 5 000 ლარი

თხილთაწყარო—გარე განათების სისტემის მოწყობა 5 000 ლარი

მაჩიტაური—გარე განათების სისტემის მოწყობა 10 000 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ტელეფა—დეკეძეებისა და ცქიფურიშვილების საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 16 000 ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—სხვადასხვა უბნაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 20 000 ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—სანიაღვრე სისტემის მოწყობა 2 000 ლარი

ბარდუბანი—გარე განათების სისტემის მოწყობა 18 000 ლარი

სათემო—სანიაღვრე სისტემის მოწყობა 2 000 ლარი

სათემო—ჭულუხაძეების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა 10 000 ლარი

ენრის ადმინისტრაციული ერთეული

ენერი—მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ახალი უბანი—ახალი უბნის სასაფლაოს შემოღობვა 12 000 ლარი

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 15 500 ლარი

სიქთარვა—სირბილაძეების უბანში გარე განათების სისტემის მოწყობა 4 500 ლარი

ჩხარი ენერი—გოგბერაშვილების უბანში გარე განათების სისტემის მოწყობა 4 000 ლარი

ჩხარი ენერი—სხვადასხვა უბანში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 12 000 ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—სხვადასხვა უბანში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 15 500 ლარი

ახალთერჯოლა—სოფლის წყლის რეზერვუარის შემოღობვა მოწყობა 4 500 ლარი

ბოსელა—სანიაღვრე სისტემის მოწყობა ბუცხრიკიძეებისა და სახელაშვილების უბანში 10 000 ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 16 000 ლარი

ოდილაური—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 9 000 ლარი

ოდილაური—ირემაძეების უბანში თავშეყრის ადგილის გადახურვა 3 500 ლარი

ოდილაური—აფრიდონიძეების უბანში არსებული სკვერის კეთილმოწყობა 3 500 ლარი

სარბევი—სანიაღვრე არხის მოწყობა 3 000 ლარი

სარბევი—სარბევის სასაფლაოს შემოღობვა 10 000 ლარი

სარბევი—გარე განათების სისტემის მოწყობა 3 000 ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი—მთავარანგელოზის ტაძრისკენ მიმავალი გზის ბეტონის საფარით მოწყობა 20 000 ლარი

ნაგარევი—გარე განათების სისტემის მოწყობა 12 000 ლარი

ბროლისქედი—საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა 12 000 ლარი

ჭალასთავი—გარე განათების სისტემის მოწყობა 10 000 ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ნახშირლელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირლელე—მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ნავენახევი—გარე განათების სისტემის მოწყობა 10 000 ლარი

ნავენახევი—სანიაღვრე სისტემის მოწყობა 2 000 ლარი

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. სიმონეთი—მინი სტადიონის მოწყობა 3 000 ლარი

ქვ. სიმონეთი—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე სისტემის მოწყობა 6 000 ლარი

ქვ. სიმონეთი—გარე განათების სისტემის მოწყობა 9 500 ლარი

ქვ. სიმონეთი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა 1 500 ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზ. სიმონეთი—ქემოკლიძეების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა 10 000 ლარი

ზ. სიმონეთი—გარე განათების სისტემის მოწყობა 10 000 ლარი

გაზაფხული, დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

გაზაფხულის პირველ და ყველაზე ლამაზ დღესასწაულებზე, სამ და რვა მარტს, დედის და ქალის დღეს, თოვლიც რომ იყოს და ყინვაც, მაინც სითბო იგრძნობა, ამოჭრილია ია, ფურუსულა, კვარაკუნჩხა და სხვა უნაზესი ყვავილი. დასკდომაზეა კვირტები ალუჩის, ატმის, გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა თოვლქვეშ და ნიშანდობლივია, რომ გაზაფხულზე აღინიშნება ეს დღეები.

მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებში, პედაგოგთა უმრავლესობა ქალია, ყველას ვულოცავთ ამ ლამაზ დღესასწაულებს, პერსონალურად კი მათ, ვინც სამ და რვა მარტს არიან დაბადებულნი.

ნათია გერაძე (1993 წელი 8 მარტი, გოდოგნის სკოლა), **შორენა გვენეტაძე** (1978 წელი 8 მარტი. ზედა სიმონეთის სკოლა). **ირმა გიორგაძე** (1975 წელი 3 მარტი. ზედა სიმონეთის სკოლა). **შორენა კახიძე** (1975 წელი. 8 მარტი. სიქთარვის სკოლა). **ცირა მურჯიკნელი** (1961 წელი 8 მარტი. ღვანკითის სკოლა). **ეთერი ტურავა** (1954 წელი 3 მარტი, ღვანკითის სკოლა). **დარეჯან აბესაძე** (1962 წელი, 3 მარტი. ჭოგნარის სკოლა). **ლილი ცქიფურიშვილი** (1975 წელი 8 მარტი, ძევრის სკოლა).

ყველა თერჯოლელ ქალს ვუსურვებთ მშვიდობას ოჯახებში, ქვეყანაში, გულში...

რას წერდა ჩვენი გაზეთის წინამორბედი „წინსვლა“ 1987 წელს— სარვამარტოდ

„რაიონის მეცხოველეთა შორის ავანგარდშია გოდოგნის კოლმეურნეობის მწველავი ნორა კვიმსაძე. იგი მზრუნველობას არ აკლებს მოსავლელად გაპიროვნებულ პირუტყვს და შედეგსაც კარგს აღწევს. დღეისათვის მას უკვე ჩამოწველილი აქვს 5 ტონა რძე, რაც გეგმას მნიშვნელოვნად აღემატება. გამრჯე ქალი პირნათლად ეგებება 8 მარტს.

სარვამარტო ნობათები

ნარმატებით შრომობს ხუთნლედის დავალებათა შესასრულებლად თერჯოლის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი. სანარმოს ზოგიერთმა მუშამ დროს გაუსწრო. ვადამდე გაანაღდეს პირადი გეგმები. მქსოველები: ნუნუ გავაშელაშვილი, ნინო გეწაძე, ნათელა ბუსკივაძე და ელიკო მაკარიძე სარვამარტოდ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის დავალების შესრულებას პატაკობენ საამშობლოს.

* * *

ღირსეული შრომითი ნობათებით ხვდებიან ქალთა დღეს სოფელ ნახშირლელის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავები ნანი გიორგაძე და ლამარა ვირსალაძე. მათ ამ დღეებში უპატაკეს საამშობლოს პირველი კვარტლის შესრულება.

ამ ქალბატონმა დაგვიმტკიცა, რომ 89 მხოლოდ ციფრებია...

„ადამიანი ღირსება, ზრდილობა, კეთილშობილება, პოზიტივი, სიკეთე და სიყვარული... ბევრ რამეს ვსწავლობთ თქვენგან, გილოცავთ, გვიყვარხართ და გეეამაყებით"...

ეს ის გულწრფელი სიტყვებია, რომლითაც თერჯოლის ქალთა ანსამბლმა „იამეს" წევრებმა თავიანთ უფროს მეგობარსა და თანაგუნდელს ალექსანდრა (ალიკო) გურაბანიძეს ტელეკომპანია „იმედის" პრაიმშოუში წარმატებული მონაწილეობა მიულოცეს, შემდგომი წარმატება, დიდხანს სიმღერა და ბედნიერი ცხოვრება უსურვეს.

ქალბატონი ალექსანდრა „იამეს" ერთ-ერთი ყველაზე უფროსი წევრია. რამდენიმე დღის უკან მან მონაწილეობა მიიღო „იმედის" პრაიმშოუში „წლის ბებიები და ბაბუები", რომელშიც 70 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. პროექტის 20 მონაწილეს შორის ქალბატონი ალექსანდრა ყველაზე ხანდაზმული იყო, იგი 89 წლისაა, ყველა დანარჩენთა ასაკი კი 80 წელს ქვემოთ იყო. იგი ტელემაყურებლებსა და პრაიმშოუს წამყვანებს ცნობილმა მომღერალმა, ანრი ჯოხაძემ ნარუდგინა.

89 წლის ქალბატონი რომ კვლავ ფორმაშია, ეს მის სიმღერაშიც იგრძნობოდა და მის კოპწია, ლამაზ გარეგნობაში. „სულიკოს" გაფლერება „იმედის" ეთერში, რომელსაც იგი პირველი ხმით გულთამზე კუბლაშვილთან და ვალენტინა სახელაშვილთან ერთად ასრულებდა ნამდვილად იყო მოწონების ღირსი და ასეც მოხდა. „პრაიმშოუს" წამყვანები ერთსულოვანნი იყვნენ ქალბატონ ალექსანდრას ნომრის შეფასებაში. იქ არ იწერებოდა ქულები, პროექტში მონაწილეობა უკვე იყო გამარჯვება...

„სიმღერა სიცოცხლეს მიხანგრძლივებს, ძალასა და ენერგიას მმატებსო"—მითხრა „თერჯოლობაზე" „იამესთან" ერთად „იმერული სოფლის" მასპინძელთა საპატიო მისიის შესრულებისას. რა გითხრათ, ალბათ უნდა დავიჯეროთ. 90 წელს მიღწეულ ქალბატონს, რომელიც უსათვალოდ ხედავს, ესმის, სხარტად და შეუფერხებლად მოძრაობს, უძღვება საოჯახო საქმეებს, ყანასა და ვენახშიც საქმიანობს, არასოდეს აცდენს „იამეს" რეპეტიციებს, არაჩვეულებრივი მეხსიერება და წარსული თუ ახლანდელი ამბების გადმოცემის უნარი გააჩნია, ლექსების წერაც ეხერხება და წერს კიდევაც, რა უნდა ვუსურვოთ ამაზე მეტი, რაც, ღვთის შეწევნით აქვს, გარდა იმისა, როგორც აქამდე, კვლავაც იმღეროს, დიდხანს იყოს ჯანმრთელად და ბედნიერად...

ახალთერჯოლაში დაიბადა და გაიზარდა. ოთხ დედ-მამიშვილთა შორის ნაბოლარა იყო. ჯერ ახალთერჯოლის 8-წლიან სკოლაში, შემდეგ თერჯოლის საშუალო სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ უფროსი და-ძმის მსგავსად სწავლის გაგრძელებაზე, ფილოლოგობაზე ოცნებობდა. ამასობაში თანასოფელ ახალგაზრდას, ნოდარ ცხადაძეს დაუდგია თვალი და ცდილობდა მოიხიბვლელი გოგონას დაახლოებას. თუმცა იგი, როგორც ამბობს, არათუ დაახლოების, დალაპარაკების უფლებასაც არ აძლევდა. სასიძო სასიმამროსთანაც მისულა და ქალიშვილის ხელი უთხოვია, საიდანაც ასევე უარი მიულია, თუმცა ის ფარ-ხმალს არ ყრიდა და კვლავ იმ ადგილებში ტრიალებდა, სადაც ალექსანდრა უნდა ყოფილიყო. ჰქონდა მოტაცების მცდელობა და მუქარაც... შემდეგ კი ეს ყველაფერი კეთილად და ბედნიერად დასრულებულა.

ოჯახს სიყვარულით მოულია თექვსმეტი წლის სასურველი სარძლო. თბილად და სიყვარულით იხსენებს მეუღლესთან ერთად გატარებულ ბედნიერ წლებს. ორი ვაჟი შეეძინათ. მოსიყვარულე ცოლ-ქმარი შმობლების დახმარებით შვილებსაც ზრდიდნენ, სახლ-კარსაც ახლიდან აშენებდნენ და ალამაზებდნენ. ალექსანდრამ ფილოლოგობის სურვილი ვერ აისრულა, თუმცა მეუღლის ხელშეწყობით საფერშლო დაამთავრა და წლების განმავლობაში 1959-2011 წწ. თერჯოლის რაისაავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროს მედდად მუშაობდა. ამასობაში შვილები წამოიზარდნენ, დაოჯახდნენ, გამრავლება ინყო ოჯახმა... სამი შვილიშვილიდან 5 შვილთაშვილი უკვე ჰყავს ქალბატონს და მეექვსეს ელოდება. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: მომღერალი ბებიის შვილიშვილმა ცოლად საქვეყნოდ ცნობილი ოპერის მომღერალი თამარ ივერი (ჯავახიშვილი) შეირთო, რომლებიც ახლა ამერიკაში ცხოვრობენ, ზაფხულობით კი ბებოს თავიანთ ტყუპ ქალ-ვაჟთან ერთად სტუმრობენ და სიხარულს ანიჭებენ.

იყო ტკივილიანი დღეებიც, როცა მეუღლე დაკარგა. გულისტკივილსა და დარდს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები უქარვებდნენ. შრომისმოყვარე და დაუზარებელ ქალბატონს სოფლის ოჯახში, სადაც ახლა მხოლოდ თავის ვაჟთან ერთად ცხოვრობს საქმე თავზესაყრელი რომ აქვს ისიც ეხმარება გარკვეულწილად...

და კიდევ: სიმღერა, რომელიც მუდამ მასთანაა

დიახ, სიმღერის სიყვარული და თანდაყოლილი ნიჭი დღემდე ასაზრდოებს, სიცოცხლის სურვილს უძლიერებს და ყოველგვარ სევდასა თუ ნეგატიურ ფიქრს ნაღლინებით უმკლავდება ქალბატონი ალექსანდრა. როდის დაიწყო სიმღერა? რაც თავი ახსოვს მღერის. სცენაზე კი მღერის 1942 წლიდან. დიახ, ასეა.

ახალთერჯოლის 8-წლიან სკოლაში სწავლა რომ დაიწყო 7 წლის იყო. მასწავლებელმა მაშინვე ალმოაჩინა, რომ ალექსანდრას კარგი ხმა და სმენა ჰქონდა. სკოლის გუნდის წევრიც გახდა, გუნდს დალიდა ბუბაშვილი ხელმძღვანელობდა. ახსოვს იმ სიმღერის ტექსტიც ომის დასრულების საზეიმო დღეებს რომ მიუძღვნეს, შემდეგ სწავლა თერჯოლის საშუალო სკოლაში გააგრძელა და სკოლის სიმღერის გუნდშიც ჩარიცხეს. სკოლა სხვადასხვა ოლიმპიადებში იმარჯვებდა და წარმატებებიც ახარებდა...

ალექსანდრა სიმღერას და ანსამბლებში მონაწილეობას, დაოჯახების შემდეგაც აგრძელებდა. 1970 წელს იგი იყო თერჯოლის რაიონის სიმღერის გაერთიანებულ ქალთა და მამაკაცთა ანსამბლ „იმერეთის" წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩახუნაშვილი. ამ ანსამბლის წევრი, როგორც ამბობს, იყო აგრეთვე ბატონი ვაჟა კუბლაშვილი, რომელიც შემდეგ თვითონ ხელმძღვანელობდა ანსამბლს, ვიდრე კონსერვატორიაში გაგრძელებდა სწავლას. ამავე პერიოდში თერჯოლის სამუსიკო სკოლაში განაწილებით ჩამოსულა თინათინ ივანოვა, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა მედიცინის პროფკავშირებთან არსებული ქალთა ვოკალური ანსამბლი „სულიკო". თბილისში სარაიონთაშორისო ოლიმპიადაზე „სულიკომ" პირველი ადგილი და დიპლომი მოიპოვა. ეს გამარჯვება ქალბატონ ალექსანდრას დღემდე ეამაყება. სიმღერა ჩაწერილია საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის" მიერ. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თინათინ ივანოვა წავიდა, ანსამბლი აღადგინა და ერთხანს ხელმძღვანელობდა ქალბატონი ხათუნა სირბილაძე.

მოგვიანებით, რაისაავადმყოფოს მედიცინის პროფრაიკომის ხელმძღვანელი ცნობილი ექიმი დავით აბულაძე) ინიციატივით შეიქმნა საავადმყოფოსთან არსებული მომღერალ ქალთა ანსამბლი „სულიკო", ახალი შემადგენლობით, უცვლელი კი მათ შორის იყო ისევ ალექსანდრა გურაბანიძე, ეს ანსამბლებიც, ისე როგორც ყველა დანარჩენი პოპულარობით სარგებლობდა მსმენელებში.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ანსამბლების წევრები ქალბატონმა ალექსანდრამ სათითაოდ ჩამოთვალა. თითოეული ანსამბლის სურათებიც დამთვალიერებინა, რომელსაც სათუთად ინახავს.

დაუვიწყარია მისთვის პოლონეთში მოგზაურობა ხათუნა სირბილაძესთან და მზია კახიძესთან ერთად. იმონებს როგორ მიიქციეს ყურადღება ეკლესიაში „სულიკოს" წაღილინების დროს. დღემდე ახსოვს გაკვირვებული და აღფრთოვანებული მსმენელები...

როცა მის ემოციურ ნაამბობს ისმენ, რწმუნდები, რა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის სიმღერით განვლილი გზა, რომელიც კიდევ უფრო სრულყოფილს ხდიდა მის ოჯახურ ბედნიერებას...

დღეები „იამესთან" ერთად

ქალთა ანსამბლი „იამე", რომელსაც ქალბატონი გულთამზე კუბლაშვილი ხელმძღვანელობს პოპულარულია და სიყვარულით სარგებლობს არა მხოლოდ იმერეთის რეგიონში, არამედ სრულიად საქართველოში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო ტელეპროექტ „ნიჭიერში", მას ხშირად იწვევენ ტელეკომპანიები და ბუნებრივია, ყველა თერჯოლელი ამაყია, როცა „იამეს" მომღერლები სხვადასხვა შოუების თუ კონკურსის ფესტივალების წარმატებული მონაწილენი არიან...

„იამეს" წარმატებათა ნუსხაში უამრავი წარმატებიდან აგრეთვე მნიშვნელოვანია თურქეთში საერთაშორისო ფესტივალზე მიღებული ჯილდო და დიდი აღიარება...

„იამეს" 2015 წელს შეუერთდა ქალბატონი ალექსანდრა. ანსამბლში მან თავის ძლიერ და მომხიბვლელ ხმასთან ერთად მიიტანა უსაზღვრო სიყვარული სიმღერისადმი, ოპტიმიზმი და მაგალითი იმისა, რომ წლები პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობის გრძნობას კი არ აქვეითებს, პირიქით აძლიერებს და რომ სასურველი საქმის სიყვარულით მსახურება შეუძლებელს შეაძლებინებს...

თითოეულ კონცერტსა თუ საკონკურსო და სატელევიზიო პროექტებში მონაწილეობა, ისე როგორც ანსამბლის თითოეული წევრისათვის, ალექსანდრასთვისაც არის უდიდესი პასუხისმგებლობა და განცდა, თუმცა აპლოდისმენტებთან ერთად მოსულ სიხარულს ვერაფერი ვერაფერ ვერ გადაწონის; როცა მთავრდება გამოსვლა და სცენიდან გადიან არის რიგ შემთხვევაში თვითშეფასების მომენტი, თუმცა სულის ზეიმი მერე იწყება და ყოველი ახალი გამოსვლისათვის სამზადისი კვლავ ზეიმია მომავალი გამარჯვებისა...

ასე ლამაზად, კვლავაც წარმატებისა და სიხარულის მოლოდინით ცვლიან დღეები ერთი მეორეს. ერთ ოჯახად გაერთიანებულ ანსამბლის წევრებს ერთი აქვთ ლხინიც, ჭირიც და პასუხისმგებლობაც მსმენელთა, რაიონის ხელმძღვანელთა და მოსახლეობის წინაშე. ქალბატონი ალექსანდრა სიყვარულით მიამბობს ანსამბლის თითოეული წევრის შეუცვლელ ვოკალურ მონაცემებსა და ნიჭიერებაზე. მიამბობს ხელმძღვანელის გულთამზე კუბლაშვილის დიდ შესაძლებლობებსა და თავდადებაზე.

ჩვენი საუბრის დასასრულს ქალბატონი ალექსანდრას მოკრძალებული თხოვნაა მისი სახელით დედის დღე და თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიეულოცოთ ქალბატონ გულთამზეს, ასევე დედის დღეს და 8 მარტს ულოცავს ანსამბლის წევრებს: ხათუნა სირბილაძეს, ვალენტინა სახელაშვილს, ლალი ვერულაშვილს, ეთერ ივანაშვილს და ანა დევიძეს, სრულიად თერჯოლელ ქალბატონებს უსურვებს თითოეულს ჯანმრთელობას, სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას და ბევრ სიმღერას, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის შეუცვლელი ნამალია. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ანსამბლის თითოეული წევრის სუნთქვაში, ჩემი სუნთქვის მეოთხედი ურევია, თქვენთან ერთად ჩემი ცხოვრება უჭკნობი და ულევია"...

ვიდრე ეს სტატია მზადდებოდა „იამესთან" ერთად ალექსანდრამ მინვევით კიდევ ერთ პროექტში მიიღო მონაწილეობა, ამჯერად „პოსტივის" ეთერში. მიუხედავად დიდთოვლობისა, ანსამბლმა მერიის დახმარებით შეძლო მინვევაზე დედაქალაქში ჩასვლა. მათი გამოსვლა ვფიქრობ, რომ მართლაც საამაყო იყო. ეს ფოტოც ტელესტუდიაში წამყვანებთან ერთად სამახსოვროდ გადაუღეს „იამეს" მომღერლებს, რომელთა შორის ქალბატონი ალექსანდრაცაა.

კიდევ უამრავი კონცერტი და გამარჯვების სიხარული მიეთვალოს ქალბატონ ალექსანდრას, რომელსაც 10 ივლისს 90 წელი შეუსრულდება.

დედის დღეს ვულოცავთ, ქალბატონ ალექსანდრას, დღეგრძელობა და უამრავი ბედნიერი წლები გვისურვებია...

მზია ცქიფურიშვილი

გვილოცავენ შემოქმედი ქალბატონები

ჩვენი გაზეთის მკითხველებს და ყველა ქალბატონს დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს ულოცავენ თერჯოლელი ქალბატონები: თეა რიჟამაძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგი და ანა ბელელაძე, ზედა სიმონეთში მცხოვრები, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა.

ორივე მათგანი თავიანთ საქმიანობასთან ერთად ეთაყვანება პოეზიას და თავადაც განცდებისა და შთაბეჭდილებების სტრიქონებად გადმოცემის სურვილ-უნარიც გააჩნიათ.

ვფიქრობთ, მათი შემოქმედება ინტერესმოკლებული არ იქნება პოეზიის მოყვარულთათვის.

„თერჯოლა" დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს ულოცავს „თერჯოლის" ამ ნომრის სტუმრებს და მათთან ერთად ყველა ქალბატონსა და დედას. უსურვებს მათ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ნარმატებულ საქმიანობას.

თეა რიჟამაძე

და რაც უთქმელად
გადაიფურცლა...
რაშიც გაფესვდა ვარდის
ფურცლები...
მხოლოდ ის იქცა ჩვენს
გულში ფიცად
მხოლოდ ის დარჩა დროში
უცვლელი...
რაც ჩვენ ჰაერში არ
ვაფარფატეთ,
დავკეტეთ მინის ცისფერ
კოლბაში,
წალკოტი მშვიდი ის გახდა
მარტო
ამ დედამინის
დაღლილობაში...

• • •

ფაქტებს არ შეცვლის
ღელვა...
დრო ვერ აჩუმებს
ტკივილს...
მე ნლების მერეც მე
ვარ...
და სულ ასეთად ვიყლი...
ასაკს არ იმჩნევს სული
მხოლოდ სახეს ცვლის
ნლები,
სნორედ ეს არის რთული
შიგნით რომ ბავშვად
რჩები...
და რომ ვერ სნავლობ
ნყენას
სხვას უბრუნებდე ნყენით...
ან უსამართლოდ ტკენას
რომ ვერ ივინყებ ნლები...
მელა დარჩება მელად...
ვირად დარჩება ვირი
მე ნლების მერეც მე ვარ...
და სულ ასეთად ვიყლი...

• • •

ტკენისთვის საჩხვლეტად
მეყოფა
გორაკზე საფლავი
მამასი..
თმენისთვის გაძლებად
მეყოფა
ცხოვრება სამშობლოს
კალთაში
ხვალისკენ სავალად
მეყოფა
ფერები დასვრილი
პალიტრის
ნარსულის სათქმელად
მეყოფა
ნაგრძნობი,
სიტყვად რომ არ ითქმის
და სანამ ავსებენ
ბოლომდის
ღელვანი სულს ასე
ფარფატას
ჩემს შიგნით დავტოვებ
მადლობებს
და წყენებს ძველ დღეებს
გავატან.

• • •

კაცობრიობის ისტორიის
მანძილზე
ქალი ისევე აყალიბებდა
და ცვლიდა ისტორიას,
როგორც მამაკაცი....
სნორედ ქალის როლია
ყველაზე საპატიო ამ
სამყაროში,
რადგან მათ შესნევთ
ძალა
ახალი სიცოცხლის
მოვლინების...
იყო ქალი არის უდიდესი
პატივი და პრივილეგია,
ხოლო იყო დედა
ეს ყველაზე საოცარი
და ამაღელვებელია...
ამიტომ არასოდეს
ნააქეზოთ
ვინმე ქალების
წინააღმდეგ ...
დაამსხვრიეთ
სტერეოტიპები
მათ სისუსტეზე და
უჭკუობაზე...
რადგან სამყარო სნორედ
ჭკვიან, გონიერ, მამაც
და კეთილშობილ ქალებზე
დგას.

არასოდეს ყოფილა ჩემი მიზანი საზოგადოების უმრავლესობის აზრს იმის გამო მოვრგებოდი, რომ შემეშინდა... ალბათ ამიტომ მიყვარს საგანი, რასაც ვასწავლი. ხელოვნება ხომ მუდმივი თავისუფლების, ცვალებადობის ნაზავია. მე და ბავშვები ერთად ვქმნით ყველა გაკვეთილზე პატარა სპექტაკლს. ჩემი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება ყველა ჩემს მოსწავლეს თითოეული ადამიანის დაფასება, თანასნორობა და სამართლიანობა ვასწავლო, მადლობა უფალს ყველა მათგანი სასიამოვნო ადამიანად მეჩვენება დღემდე და საერთოდ არ განვიხილავ ვის რა წარმოდგენა აქვს სახელმნიფო წყობაზე თუ გლობალურ პრობლემებზე... სადაც და საითაც დგანან, ქვეყნის სიყვარულითაა ნაკარნახევი და მთავარი მიღწევა ჩემი და ჩემი კოლეგების მათი უპირველესად კარგ ადამიანებად აღზრდაა. ასე მგონია ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ საზოგადოების ყველაზე დიდი მიღწევაა მაშინაც კი გვიყვარდეს ერთმანეთი, როცა ერთ აზრზე არ ვართ...

რადგან მხოლოდ სიყვარულია ვერტიკალური და ბრუნვადიც და დედამინას სიყვარული ამოძრავებს.

ანა ბელელაძე

დედამინის ყვავილობის დროა!

როცა სულით გაზაფხული დაგაქვს,
როცა გულში დაფრთხიალობს რნმენა,
მაშინ ზამთრის ვერ გაშინებს სუსხი
და ცას სნედება ბულბულების სტვენა.
როცა მინას უხშირდება პულსი,
როცა მთიდან ჩამოდნება თოვლი,
როს სიმწვანე შეერევა ტყეებს,
ბარში სტუმრად გაზაფხული მოდის.
დაგვავინყებს ყველა დარდს და ტკივილს,
შავ-თეთრ საბანს ფერთა წარლვნით ნაშლის,
ცის თაღს შვიდი დაამშვენებს ფერი
და მზის ბნკალი სითბოს ფარდად გაშლის.
ახლა ზამთარს მივუხურავ კარებს,
დედამინის ყვავილობის დროა,
როცა გულში დაფრთხიალობს რნმენა,
სულში სხივად გაზაფხული მოვა!

დედი!

დედი, ჩემო ტკბილო, უნდა გამოგიტყდე,
უნდა ხმამაღლა ვთქვა შენზე საქებარი,
რა ვქნა?! შვილი ვარ და მე მთელ დუნიაზე,
სხვა არ მეგულება შენებრ საფიცარი.
დედი, ჩემო მზეო, უნდა ვაღიარო,
შენი გულის მსგავსად ნეტავ ჩემი ცემდეს,
ნეტავ ჩემი გულიც, ისე, როგორც შენი,
მუდამ სიკეთეს და სითბოს ასხივებდეს.
დედი რამდენი მაქვს შენზე მოსაყოლი,
განეული ჯაფა როგორ დაგიფასოთ?
სავალ გზა-ბილიკებს ლოცვით რომ გვინათებ,
დედი, უთვალავჯერ მინდა დაგიძახო.
დედი, დე, იცი რა? მიყვარს შენს სახეზე,
ჩუმად გაჩენილი ბზარი ნაოჭების,
თმაში შეპარული გშვენის ჭაღარა და
გულში სიყვარული ნლობით ნაგროვები.
დედი საოცარო, მინდა უამრავჯერ,
შევბედე გაზაფხულებს ჭრელაჭრელა კაბით,
შვილებს დაგვილოცო დილა უამრავი,
ჯვარი გადაგვსახო ბედნიერი სახით.
დედი, მეც დედა ვარ, სამი შვილის დედა,
ვცდილობ დავაბრუნო ვალი ღვთის წინაშე,
ღვთისმშობელო დედა, დედა დაგვილოცე,
შენი მადლიანი კალთით დაიფარე...
მალე შუალამე ფარდას აიხდის და
ასე უსასრულოდ შევძლებ გავაგრძელო,
დედის სიყვარულზე სათქმელს რა დამილევს?!
დედი, დე იცი რა? ერთად გავათენოთ.

დუელში ვინვევ...

თებერვლის ფიფქზე მეტია ფიქრი,
მოიჩითება გზები იებით,
დუელში ვინვევ უომედობას
და გაზაფხული მომყავს იმედით!
ავფურცლავ სევდით გაფლენთილ დღეებს,
როგორც კალენდარს ფამით გაცრეცილს,
მივურ-მოვურევ მხიარულ ფერებს,
ლექსად გავრითმავ სიტყვებს გაცვეთილს.
შავ-თეთრ კლავიშებს სულ რიგ-რიგობით,
მიესალმება ჩრდილი თითების,
მინორულ გამას შევცვლი მაჟორით,
ხმა შორეული მესმის სიმღერის.
ცა შენყვეტს ამბოხს, გადგება განზე,
მზე ჩამობერტყავს სხივებს უბიდან,
როცა მოპარავს ღამეს განთიადს
და ნამოდგება მთვარე გუბიდან.
ავფურცლავ სევდით გაფლენთილ დღეებს,
ფამით გაცრეცილ კალენდრის მსგავსად,
ფერმკრთალ თებერვალს ვინვევ დუელში,
პაემანს ვუთქვამ გაზაფხულს ახლა!

თვალები მაჩვენეთ...

ჩურჩულით ნათქვამი ლამაზი სიტყვები,
არაა საჭირო, ნუ იტყვით ნურაფერს,
გაჩუმდით! გაჩუმდით! თვალები მაჩვენეთ,
ისინი შეტყვიან უსიტყვოდ ყველაფერს.
ხატავთ? დახატეთ, რაც გინდათ, რა ფერშიც,
ტილოზე დარჩება მაგ ფერთა პალიტრა,
დანერეთ, რასაც გრძნობთ და რასაც
განიცდით,
ფურცელი ლოდინით ხომ ხედავთ
გაფითრდა?!

სტრიქონებს თვალებით, რომ წერდეთ არ
გინდათ?
არ გინდათ პირდაპირ თვალებით ხატავდეთ?
ვერ ამჩნევთ?ვერ ხედავთ, დრო როგორ
გავიდა?
თვალსა და ხელს შუა რამდენი დაკარგეთ?!
და მაინც დახატეთ, რაც გინდათ რა ფერშიც,
ტილოზე დაღვარეთ მაგ ფერთა პალიტრა,
დანერეთ რას ფიქრობთ, რას ნატრობთ, რას
ნანობთ,
კალამი თქვენს ხელში ლოდინით ატირდა.
მითხარით, თუ რამ გაქვთ სათქმელი დღეს
ითქვას,
ხვალ იქნებ გვიანი ალმოჩნდეს რამის თქმა,
გაჩუმდით! თვალებით მითხარით სათქმელი,
თვალებით დანერეთ, დახატეთ, რაც გინდათ!

„მოწყალებისა კარი განგვიღე"

დედაო ღვთისავ გთხოვ შეისმინე,
ცოდვილი შვილის ნრფელი ვედრება,
ივერიაში ცეცხლი გიზგიზებს,
გულზე ტკივილი ალად მედება.
შენს წილხვედრ მინას,
მრავალჯერ ჯვარცმულს,
ფერფლად რომ ექცა მთების ნანილი,
შეგვინდე ცოდვა მის უძღებ შვილებს,
გადმოგვაფარე შენი მანდილი.
ქარის ქირქილში ჩაკარგულ ჩურჩულს,
მჯერა რომ მაინც მოგანდეთ ზეცად,
შემონახული ეს მთა და ბარი
შვილებს სჭირდებათ ყველაზე მეტად.
დიეერსიაო ზოგი ამტკიცებს,
ვინ სად და ვისში ეძებს მიზეზებს,
თავს დატეხილი უბედურება,
ზოგჯერ გატეხილ ნეკნებს გვიმთელებს.
იქნებ ღვთის რისხვა დაგვატყდა თავზე,
იქნებ მიზეზი ჩვენი ცოდვაა,
თანამედროვე საქართველოში
სულით ქართველი მართლა ცოდვაა.
ჩემი სამშობლოს პულსის ხმა მესმის,
მავანს ახარებს ჩვენი გოდება,
ეშმაკმა უწყის, რომ ვერ შეგვიცვლის,
სისხლით დანერილ „ქართლის ცხოვრებას"!
მამაო ჩვენო, დასაბამიდან
ჩვენი ცოდვების ნუსხა დიდია,
დღე-მეხვალიე კაცის ბუნებას
ვერ განვეშორეთ, ნლები მიდიან...
ისე მივდივართ, ისე ვიცვლებით,
ფერისცვალებას სული ვერ ასნრებს,
სიკეთისათვის ნამი არ გვრჩება,
შენსკენ მომავალ გზას ფერფლად ვაქცევთ.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
„მოწყალებისა კარი განგვიღე"
უფალი ჩვენი, იესო ქრისტე,
ურწმუნოებით ბევრჯერ გაერიყეთ.
და ახლა, როცა ჩვენი სამშობლოს
ფერფლად ქცეული მთები გვეძახის,
ყოველი ცოდვის სინანული მკლავს,
მხოლოდ ჭირის დროს ლოცვა გვეძრახის.
მარიამობის გვფარავდეს მადლი,
ერს და ქვეყანას ვაეედრებ უფალს,
ყველა წმინდანის ლოცვა იცავდეს
მათ, ვისაც ქართველის მშვიდობა უყვარს.

ავტორიზებული სკოლები—დირექტორების განწყობა

როგორც ცნობილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა დროს, თერჯოლის №2, სიქთარვის, რუფოთის, ჩხარის №1 და ჩხარის №2, ქვ. სიმონეთის №2 და კერძო სკოლა „მზეკაბანს“ მიენიჭათ ავტორიზაცია—რაც არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატიის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

კითხვას როგორ დააკმაყოფილა აუცილებელი სტანდარტები და რა გავლენას ახდენს ეს სტატუსი სკოლის წარმატებაზე—ამჯერად სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორი ია კვატაია უპასუხებს:

„საჯარო სკოლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესი 2023 წელს დაიწყო. იმის გამო, რომ სიქთარვის საჯარო სკოლა ახალი აშენებულია და ინფრასტრუქტურულად მონესრიგებულია, საეჭვო არ იყო, რომ ავტორიზაციის პროცესს ერთ-ერთი პირველი გავიყოლიდით. ეს ფაქტობრივად დაკავშირებული იყო დიდ შრომასთან, პასუხისმგებლობასთან, მოითხოვდა მაქსიმალურ ძალისხმევას. ჩემს სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ჩემი პოზიცია იყო, ეს დიდი გამოწვევა ერთ-ერთ პირველს მიგველო და ღირსეულად გავმკლავებოდით.

ჩვენს სკოლას არასდროს ჰქონდა პრობლემა ვალდებულებებს გავქცეოდით და სიახლე ერთ-ერთ პირველს არ დაგვენერგა, ამიტომ ავტორიზაციის პროცესშიც გვქონდა მზაობა და პრეტენზია, ჩვენი თანამშრომლობითი კულტურით სასურველ მიზანს მივაღწევდით. გვქონდა იმის რწმენა, რომ თუ ჩვენს სფეროში ერთს შეუძლია საქმე ღირსეულად აკეთოს, იმ ერთის გვერდით ჩვენ აუცილებლად ვიქნებოდით.

ავტორიზაციის პროცესში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან სკოლებს ნებისმიერ ეტაპზე ჰქონდათ მაქსიმალური მხარდაჭერა—ტარდებოდა ტრენინგები, შეხვედრები, კონსულტაციები ისე სრულყოფილად, რომ აღარ რჩებოდა საკითხი გაუგებარი. ავტორიზაციის განაცხადის შეტანიდან ავტორიზაციის მინიჭებამდე იყო 6 თვე და ეს 6 თვე იყო შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენა. განაცხადი თავისი დანართებითურთ დაახლოებით ხუთას დოკუმენტს მაინც მოიცავდა, არ არსებობდა სკოლასთან დაკავშირებული საკითხი, რომელსაც არ ეხებოდა ავტორიზაცია, ამიტომ სკოლის ყველა თანამშრომელი „ფეხზე ვიდექით“.

ავტორიზაციის პროცესში ბევრი დადებითი ფაქტორი გამოიკვეთა, არამარტო სკოლის თანამშრომლები იყვნენ ერთსულოვანნი მზადების პროცესში, სკოლების ერთმანეთთან თანამშრომლობაც შესაშური იყო.

როგორც მოგეხსენებათ, სკოლის ავტორიზაცია 4 სტანდარტზეა დაფუძნებული. სანამ სკოლა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარსდგება, დაახლოებით ორი თვით ადრე სკოლაში უშუალოდ შემოდის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პირველად დასკვნას წერს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკმაოდ კომპეტენტური ექსპერტები იყვნენ მოვლენილი სიქთარვის საჯარო სკოლაში. ძალიან მნიშვნელოვანია მათთან გულწრფელობა, ბუნებრიობა. ასევე მათი შეფასება, რომ ჩვენს სკოლაში შემოსვლისთანავე იგრძნობოდა პოზიტიური სასწავლო გარემო და თანამშრომლობითი კულტურა, ჩვენთვის ძალიან სასიხარულო იყო. სტანდარტები შედგება კომპონენტისაგან, რომლებიც კრიტერიუმებად და ინდიკატორებად იშლება. ექსპერტების შეფასებით ოთხივე სტანდარტის ყველა კრიტერიუმი შესაბამისობაში იყო დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხება ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, რომელიც ფაქტობრივად პროცესის დასკვნითი ეტაპია, ღიაა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია დასწრება. ძალიან ამაღელვებლად მახსოვს ეს დღე- ავტორიზაციის საბჭოს სხდომა-2023 წლის 2 ოქტომბერი.

მიუხედავად იმისა, რომ სხდომა ონლაინ იმართება, სკოლა არ იყო მარტო, სკოლის თანამშრომლებთან ერთად რესურსცენტრის უფროსის, თანამშრომლების, სკოლის დირექტორების გულშემატკივრებად ხილვით ავტორიზაციის საბჭომ აღფრთოვანება ვერ დამალა და ეს თანადგომა ძალიან პოზიტიურ მოელენად შეაფასა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების მიერ ყველა სტანდარტი შესაბამისად იყო მიჩნეული, საბჭომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არქონის გამო სკოლას 2 წლის შემდგომ მონიტორინგი დაუნიშნა. ეს ფაქტი გამოწვევად მივიღეთ და რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ“.

სკოლის შეფასების საერთო და საუკეთესო გამოცდილების მიმოხილვა

ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, ყველა სახის დოკუმენტაცია, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს, კათედრების წარმომადგენლებს, სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია ნაყოფიერი და თანამშრომლობითი იყო. ითქვა, რომ სკოლა მზარს უჭერს დამატებით აქტივობებს და მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. ტრადიციად არის დამკვიდრებული საზაფხულო ბანაკები, ინტელექტუალური თამაშები, რომელსაც ხელმძღვანელობენ მასწავლებლები. „მშვიდობის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისე ხელს უწყობს სკოლაში არაფორმალურ განათლებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გამოავლენს „რა, სად, როდის“ თამაშების საუკეთესო მოაზროვნეს, რომელსაც სიმბოლურად გადასცემს „ბუს“—საუკეთესო მოაზროვნის დამადასტურებელ დიპლომს, გამორჩეული მოსწავლეები ნახალისების მიზნით, საჩუქრდებიან წიგნებით. სკოლაში შექმნილია ნრე „ნორჩი ფიზიკოსი“, ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებაში „ეკო კლუბი“. ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები ინგლისურ ენაში, მათ შორის საერთაშორისო აქტივობები, მეხუთე-მერვე კლასის მოსწავლეები ჩართულნი არიან ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში მდგრადი განვითარების მიზნებისთვის. ამ აქტივობას მოსწავლეები „ესნრეგბიან“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან ერთად.

„სკოლის ფილოსოფია, მისია, ხედვა და ღირებულებები“

სკოლაში ავტორიზაციის პროცესი ოთხი სტანდარტით მონმდება და მოიცავს რამდენიმე ეტაპს. სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში დეკლარირებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და კომისიის ადგილზე ვიზიტით გამოიკვეთა, რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რასაც უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ექიმის ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით და პერსონალით. ექიმი მოსწავლეებს ხშირად ესაუბრება ჯანმრთელობის საკითხებზე, ატარებს საინფორმაციო აქტივობებს. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები, სკოლის სხვადასხვა ლოკაციაზე მორიგეობენ თანამშრომლები. ეზოს გარე პერიმეტრი შემოღობილია და მხოლოდ ერთი შემოსასვლელი ჭიშკარი აქვს.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, ინგლისურის კაბინეტი, გამოყოფილია სივრცე ინტელექტუალური თამაშებისათვის, განკუთვნილი ინვენტარისათვის, სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება პროექტები, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეების ინიციატივით, შექმნილია ეკო კლუბი „მწვანე ეზო“, მკითხველთა კლუბი, სკოლა ჩართულია მათემატიკის კონკურსში „ეძებე მათემატიკის სიყვარული“, რომელიც ერთკვირიანი პროექტია. მოსწავლეების მიერ, მასწავლებელთა ინიციატივით აღინიშნება ყველა მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნავი დღე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის კულტურულ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ნარუდგენია მისიის და ხედვის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებები, გასაუბრებისა და ვიზიტების ფარგლებში სამუშაო პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, დემოკრატიული მართვის სტილი ნარმოადგენს ყოველდღიურობას და სასკოლო ცხოვრების განუყრელ ნაწილს.

სკოლის მისია, ღირებულებები და ხედვა სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული, გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე, დაგეგმილია ვებგვერდის შექმნა, სადაც განთავსდება სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და ყველა სასკოლო საკანონმდებლო დოკუმენტი.

•••

ასეთია ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასება, უმოკლესი ინფორმაცია სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის თაობაზე. 6 წლით ავტორიზაციის მინიჭება, თანაც სრულად, უნიშვნელო გასაუმჯობესებელი საკითხები, მნიშვნელოვანი მოვლენაა სკოლის ცხოვრებაში. ესაა სტიმული უკეთ მუშაობისათვის, სტიმული მოსწავლეებისათვის, მშობლებისათვის.

ეკატერინა ცხადაძე

ღირსეულის ღირსეული აღიარება

პედაგოგის ოჯახში აღიზარდა, მაგრამ მამამ—სილიბისტრო მაკარიძემ შვილზე პროფესიული გავლენა ვერ მოახდინა და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცისანა მაკარიძემ მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. ადვილი არ იყო სამედიცინოზე მოხვედრა. ცოდნამ და მონდომებამ თავისი გაიტანა, ინსტიტუტიც წარჩინებით დაამთავრა. ჰქონდა შესაძლებლობა თბილისში დარჩენილიყო, ინსტიტუტიდანაც ჰქონდა შემოთავაზება, მაგრამ თერჯოლაში ჩამოვიდა და სრულიად ახალგაზრდა ექიმმა, გამოუცდელმა, მაგრამ პროფესიაზე შეყვარებულმა ცისანა მაკარიძემ ჰიპოკრატეს ექიმის ფიცი ჩბარის საუბნო საავადმყოფოში წარმოთქვა და ამ ფიცისათვის არასოდეს უღალატია.

ჩბარის საავადმყოფოდან თერჯოლის ცენტრალურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს მთავარ პედიატრად და ამასთან იყო სამშობიარო სახლის ნეონატოლოგი. ცისანა ექიმი მუშაობის მთელ მანძილზე ამყლავნებდა ნიჭსა და უნარს, თავს ეფლებოდა პაციენტებს, უტყუარი იყო მისი დიაგნოზი, მადლობა კი ყველაზე დიდი ჯილდო. სიამაყით და სიყვარულით იხსენებს ცისანა ექიმი პედიატრად მუშაობის წლებს, მთავარ ექიმებთან ურთიერთობებს, მაგრამ ყველაზე დიდხანს დარეჯან ჯაფარიძის ხელმძღვანელობის პერიოდში უმუშავია და ამბობს, რომ ქალბატონი დარეჯანი იყო მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი, ამასთან კვალიფიციური ექიმი. განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს სამშობიაროში მუშაობის წლებს, მას, როგორც ნეონატოლოგს, ჩვილთა მეთვალყურეობა ევალებოდა და მუდმივი ყურადღებითაც პყავდა ისინი, მრავალი ღამე უთენებია მათ პატარა საწოლებთან, დედებთან ერთად და როცა პატარას სრულად გამოჯანმრთელებულს განერდნენ, მხოლოდ მაშინ მოვიდოდა შვება, მაშინ შეეძლო სკამზე ჩათვლემა.

ცისანა ექიმი ვერ აკონკრეტებს რამდენი ბავშვი დაიბადა მის ხელში, რამდენი საქმე-ბარათი დაუნომრავს, მაგრამ ყოველი დაბადება, ახალი სიცოცხლის მოვლინება სიხარულსა და სიძლიერეს მატებდა, „ლალი გვუტაძესთან მუშაობა სიამოვნებაც იყო, პასუხისმგებლობაც და გამოცდილების მიღებაც“-ო თქვა.

ბედნიერი ოჯახი შექმნა ქალბატონმა ცისანამ სვირში მცხოვრებ გურამ ჯულელთან ერთად. ხშირად „მომთაბარეობდნენ“ სვირსა და თერჯოლას შორის, გურამი თერჯოლის რაიკომერატიის მთავარ ინჟინრად, გეოლოგიურ სამმართველოში მუშაობდა და ერთგულად, გულით აკეთებდა გასაკეთებელს.

მერე გაჩნდა სოფო, მშვენიერი გოგო, სკოლის დამთავრებისთანავე სტუდენტი გახდა. სოფომ დედის გზა აირჩია, ექიმი ნეონატოლოგია და ამჟამად, თერჯოლის სასწრაფო დახმარების ექიმია, სამუშაო მისთვის ყველაფერია, გამოძახებაზე დროული მისვლა და პაციენტის დახმარების აღმოჩენა მას ბედნიერებას ანიჭებს.

გურამ ჯულელი საკმაოდ ადრე ნავიდა, პატივისცემა არ აკლია მის ნათელ ხსოვნას. დედა-შვილმა დანაკლისი ძნელად გადაიტანა, „ბოში კი წაიქცა“, მაგრამ სახლ-კარი „თავზე არ დაქცეულიათ“, ყველაფერს უვლიან და პატრონობენ.

დღემდე ურთიერთობს დედა-შვილი სვირში მცხოვრებ გურამის ნათესაებთან, „ათზე მეტი ნათლული მყავს სვირში“—თქვა სოფომ.

ორმოცდაათი წელი ემსახურა ცისანა მაკარიძე თერჯოლის მოსახლეობას, როგორც ექიმი. ღირსეული კვალი დატოვა, რაც დაფასებული იყო სხვადასხვა წლებში მიღებული სამადლობელი ბარათებით, სიგელებით და მაინც, ყველაზე დიდი აღიარება 2024-მა წელმა მოუტანა. გამორჩეულ სახალხო ზეიმზე „თერჯოლობას“, ცისანა მაკარიძეს თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.

96 წლისაა ცისანა ექიმი, ხალხმრავალ ლონისძიებაზე მართალია ეტლით მოვიდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ტრამვა მძიმე და ეტლი დროებითია. თავისი განცდა-სიხარული მან ასე ჩამოაყალიბა: „საოცარია ბედნიერა, მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ჩემთვის დიდი პატივია იმის შეკნობა, რომ ჩემს მშვენიერ რაიონს და მის პირველ პირებს, მთლიანად მერიას და საკრებულოს ვახსოვარ, დიახ, ოთხმოცდათექვსმეტი წლის ვარ, მაგრამ ანიც რომ მინდა სიცოცხლე, საპატიო მოქალაქეობის მინიჭებამ ეს სურვილი გამაორმაგა. მადლობა ჩემს თერჯოლელებს და მის ხალხს, განსაკუთრებით მათ, ვინც გაიხსენა ჩემი განელილი გზა“.

გაელის კიდევ ოთხი წელი და ჩვენს საამაყო ხანდაზმულ ქალბატონს, თერჯოლის საპატიო მოქალაქეს ცისანა მაკარიძეს საუკუნის სიმძიმე დააწვება მხრებზე. მეტიც გვისურვებია, ახლა კი ქალთა მშვენიერ დღესასწაულებს ვულოცავთ ქალბატონ ცისანას.

ეკატერინა ცხადაძე

თქვენი წვლილი ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარებაში ფასდაუდებელია!

გაზაფხულის პირველი თვე განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. ეს ის დროა, როცა ბუნების გამოღვიძებასთან ერთად გულებიც განსაკუთრებული სითბოთი გვევსება და მადლიერების გრძნობა გვეუფლება მათ მიმართ, ვინც ჩვენს ცხოვრებას განსაკუთრებულ აზრსა და ხიბლს აძლევს.

დედა - ეს სიტყვა თავისთავში ატარებს უსაზღვრო სიყვარულს, თავდადებას, მზრუნველობასა და სითბოს. განსაკუთრებული მადლიერებით მიემართავ და ვულოცავ ყველა დედას - თქვენ ხართ ჩვენი სიძლიერის, სიბრძნისა და სიყვარულის უშრეტი წყარო. თქვენი თავდაუზოგავი შრომა და უანგარო სიყვარული აყალიბებს მომავალ თაობებს, ქმნის ოჯახურ სითბოს და ინახავს ეროვნულ ტრადიციებს.

დედებთან ერთად, ყველა ქალბატონს ვულოცავ 8 მარტს. გისურვებთ, რომ ყოველთვის გეგრძნოთ ის სიყვარული და პატივისცემა, რასაც იმსახურებთ. დაე, თქვენი ცხოვრება ყოფილიყოს სავსე სიხარულით, წარმატებითა და ბედნიერებით.

ეს ორი დღესასწაული ერთმანეთს ავსებს და გვახსენებს, რომ ქალები - როგორც დედები და როგორც საზოგადოების აქტიური წევრები - არსებით როლს ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში. მათი დიდი ძალისხმევით ვითარდება და ძლიერდება ოჯახები, საზოგადოება და მთელი ქვეყანა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველა დედას 3 და 8 მარტს, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, სულიერ სიმტკიცეს და იმ აღიარებას, რასაც თქვენი შრომა და თავდადება იმსახურებს. თქვენი წვლილი ჩვენი საზოგადოების განვითარებაში ფასდაუდებელია.

ანა ცხადაძე,
„მზეკაბანელი“, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტი, ოქროს მედალოსანი, 100%-იანი გრანტის მფლობელი, სოფ. სიქთარვა

ქალბატონი მრავალწლიანი საალმზრდელო გამოცდილებით

ქეთევან ჯაბიძემ მთელი ცხოვრება ბავშვების აღზრდას მიუძღვნა. მან 1977 წელს დაამთავრა თერჯოლის პირველი სკოლა, იმავე წელს სწავლა თბილისის გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში განაგრძო. 1981 წლიდან კი მან პროფესიული კარიერა თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღში აღმზრდელის პოზიციაზე გააგრძელა და სწორედ აქედან დაიწყო მისი მრავალწლიანი, ერთგული მოღვაწეობა ამ სფეროში.

სამუშაოს პარალელურად, ქეთევანმა სწავლა განაგრძო ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც პედაგოგიკის ფაკულტეტის სრული კურსი დაასრულა. პროფესიონალიზმისა და გამოცდილების დაგროვების შემდეგ, 2018 წელს ქეთევან ჯაბიძე მეთოდისტის პოზიციაზე დანინაურდა, რომელსაც დღემდე ღირსეულად იკავებს.

დღეს ბაღის დირექტორის ქალბატონ ლალი ქარქაშაძის ხელმძღვანელობით და მისი მეთოდური დახმარებით საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებს, სადაც 91 აღსაზრდელი იზრდება. ჯგუფებში საშუალოდ 25 ბავშვია, რაც საშუალებას აძლევს აღმზრდელებს ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდეთ თითოეულ აღსაზრდელთან.

მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება ბაღში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის, რაც ნიშნავს, რომ აქ არამხოლოდ აკადემიურ ცოდნას, არამედ ბავშვების ემოციურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ეს მიდგომა უწყობს ხელს ბავშვების მომზადებას, რათა ისინი სრულფასოვნად შეხვდნენ სკოლაში სწავლის დაწყებას.

ბაღის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს პროფესიონალთა გუნდი, რომელთაც ათწლეულების გამოცდილება აქვთ და პირველი დღიდან ემსახურებიან აღზრდისა და განვითარების საქმეს. მათი შემადგენლობის მუდმივობა და ერთგულება ბაღის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

№3 ბაგა-ბაღში დაარსების დღიდან მუშაობენ ასევე: იზო ცქიფურიშვილი, ლალი ქარქაშაძე, ეთერ უკლება, გულო ხვედელიძე, მარგო კუტავაძე, რუსუდან ცერცვაძე, დარეჯან ბელელაძე.

ქეთევან ჯაბიძე წარმოშობით ჩბარელია, ბავშვობა თერჯოლაში გაატარა და მოგვიანებითაც ამავე ქალაქში გააგრძელა ცხოვრება. მისი მეუღლე წლების განმავლობაში კავშირგაბმულობის მთავარი ინჟინერი იყო, ხოლო ახლა პენსიაზეა. მათ ორი შვილი ჰყავთ, რომლებმაც განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღეს და გერმანისტიკის განხრით წარმატებულ კარიერას ეწევიან. ერთ-ერთი მათგანი ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ბაღის თანამედროვე შენობა და ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სათანადო მხარდაჭერით არის მოწყობილი. აღსაზრდელებს აქვთ ყველა საჭირო პირობა: თანამედროვე ავეჯი, სათამაშოები და სასწავლო რესურსები, რაც მათ მოტივაციასა და შემოქმედებით უნარებს აძლიერებს. თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები ბავშვებს მეტ თავისუფლებას, ცნობისმოყვარეობასა და დამოუკიდებლობის განვითარებას უწყობს ხელს. ქეთევან ჯაბიძე დღემდე განაგრძობს თავისი საქმის სიყვარულით კეთებას და საბავშვო ბაღის განვითარებაზე ზრუნვას. მისი მნიშვნელოვანი გამოცდილება, ერთგულება და ინოვაციური მიდგომა განათლების სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მომავალ თაობებს უკეთესი განათლებისა და აღზრდის საფუძველს უქმნის.

თეკლა კირკიტაძე

იუნკერთა ხსოვნის დღე

23 თებერვალს, თერჯოლაში იუნკერთა ხსოვნის დღე აღინიშნა.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თამჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, გვირგვინით შეამკო საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის დალუპულ გმირთა დიდების მემორიალი და პატივი მიაგო იუნკერთა ხსოვნას.

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა გიორგიმ, სასულიერო პირებთან ერთად, ქართველ იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

გაჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

იუნკერთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო გორში არსებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა ბატალიონის ათეულმა.

ღონისძიებაზე თერჯოლელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს ეროვნულ თემატიკაზე შექმნილი რამდენიმე მხატვრული ნომერი.

იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების, აპარატების, წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, სკოლების მოსწავლეები ესწრებოდნენ.

1921 წლის თებერვალში, თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში კოჯორ-ტაბახმელასთან თავი მამაცურად გაწირეს.

აღნიშნული ტრაგედიიდან დღემდე 104 წელი გავიდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთი თვის შემდეგ, გენერალი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართველებმა დამპყრობლებისაგან გაანთავისუფლეს ბათუმი.

ამ ბრძოლებში ათეულობით იუნკერი და ჯარისკაცი დაიღუპა.

დაუღალავი შრომა შინ, გარეთ და გამარჯვება

დაახლოებით 80-90 წლის წინ, ჯურძნის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიში ოცხანური ჰქონდათ გაშენებული. „ვენახი ისეთი ძლიერი იყო, გაბზარულ ძირებში შაშვებს ბუდეები ჰქონდათ გაკეთებულიო"—იხსენებენ რამაზ რობაქიძე და მისი, უკვე ზრდასრული შვილები აკაკი და კახა—შამის და ბაბუის კაკო რობაქიძის ნათქვამს. კარგი მევენახე მშრომელი და პატიოსანი კაცი იყო ბატონი კაკო, მისი შამა სიმონიც მევენახე ყოფილა. დიდი

ვენახები ჰქონიათ, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური, ტონობით ჯურძნის მიჰყიდნენ სახელმწიფოს და არ ელეოდათ ხვაი და ბარაქა.

დრო გადიოდა. „დაბერდა" ოცხანური, იძულებულნი გახდნენ აეჩეხათ. ამასობაში დაიზარდნენ ბიჭები, უმაღლესი განათლება მიიღეს, წარმატებულები არიან. „შვილები ახლა ამერიკაში ცხოვრობენ და მუშაობენ, გვეხმარებიან ფინანსურად, ბევრს ფიქრობენ ოჯახზე, სოფელზე, ოცხანურის გაშენებაც მათი სურვილი იყო და მაინდამაინც ამ ადგილზე, სადაც ჩვენს უახლოეს ნინაპრებს ჰქონდათ"—გვითხრა რამაზმა და უხარია, რომ 400 ძირი ოცხანური წელს პირველ მოსავალს მისცემს.

შრომობს რამაზი და მისი მეუღლე დარეჯან ბელელაძე შინ და გარეთ, თანდათან აძლიერებენ ოჯახს, თავს ევლებიან რძალსა და ორ შვილიშვილს და სტიმულს უძლიერებენ შვილებსაც, რომ დაბრუნდნენ, არ დატოვონ სოფელი და ნინაპართა საფლავები.

გამარჯვება მესამე

თერჯოლაში წინა წლებში ღვინის ფესტივალი ტარდებოდა. ორი წელია ამ ტრადიციას „თერჯოლობა" დაერქვა და ორივე შემთხვევაში ღონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საუკეთესო ღვინის და მევენახე-მეღვინის გამოვლენა იყო და არის. რამაზმა თქვა, რომ სოფელ სიქთარვისათვის გამოყოფილ კუთხეში, რომელიც ყოველთვის გამორჩეულად იყო წარმოდგენილი, მოჰქონდა სახლის პირობებში დამზადებული ღვინო და შარშან მესამედ გაიმარჯვა. კითხვაზე—რა გრძნობა იყო ნომინაციაში გამარჯვება, პასუხი ერთ სიტყვაში ჩაატია „აუპ". და შვეუბრუნე კითხვა უფრო სრულყოფილი პასუხისთვის. „მთელი თერჯოლის, უამრავი სტუმრის წინაშე შენი გვარის და სახელის გამოცხადება, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესო ღვინის მფლობელის, სამახსოვრო სუვენირის და სიგელის გადმოცემა, ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაშიო"—თქვა რამაზმა.

2000 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი აქვს რამაზ რობაქიძეს, ტრადიციული ჯიშები: ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა და 400 ძირი ოცხანური, რომელიც წელს პირველ მოსავალს მისცემს. მოჰყავს 3,5 ტონა ზოგჯერ მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი. ყურძნის ნაწილს ჰყიდის, ნაწილს ჭურჭლებში აყენებს, აქვს ღია ჭურისთავი და სხვადასხვა ზომის ჭურჭები 2 ფუთიანიდან 90 ფუთამდე ჩასაყენის.

გაიმარჯვა რამაზ რობაქიძის შერეულმა ღვინომ, უკვე მესამედ.

***

ადრე, როგორც ყველა, რობაქიძეებიც შაბიამნით და კირით წამლავდნენ ვენახს. ახლა მრავალი საშუალებაა, მაგრამ საფრთხილო. რამაზი საუკეთესო ხარისხის შესაწამლ საშუალებებს ყიდულობს და ვენახსაც კარგად უვლის. მე, მარად ფეხით მოსიარულეს და სხვისი მანქანის მომლოდინეს, რამაზს და მის მეუღლე დარეჯანს, რომელიც თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის პედაგოგია, ხშირად ვედრები. ხანდახან ადგილი არ აქვს, „მიინ-მოინიეთ" თქვა ვარიგებ „ჭკუას" და ძალით ვჯდები მანქანაში. ერთხელ წამლობის პერიოდში დავედარე და რჩევა ვკითხე, რადგან ვენახი ძალიან დამიზიანდა, თან შევიქე თავი წამლობა და მოვლა არ დამიკლია-თქვა. რამდენჯერ მონამლეო მკითხა, ოთხჯერ-თქვა, მივუმატე ერთი. „ვერა ხარ კარგად, მე ათჯერ მოვნამლე, კიდევ ორი ნამლობა დამრჩაო". საუბარი აღარ გამიგრძელებია, ან რა უნდა მეთქვა.

ფიქრი საღვინე სახლზე

რამაზის უახლოესი გეგმა მარნის—საღვინე სახლის აშენებაა. ერთ გადახურულში მოაქცევს საწნახელს, ღვინის დასაწურ, ყურძნის საკრეფ საშუალებებს, უამრავ ჭურჭელს, ჭურებს და სიცხე-სიცივის ცვალებადობა ღვინოზე ნაკლებ უარყოფით გავლენას მოახდენს და დადგება ღვინო „კარგი, კეთილი, შემრგე, გემოიან-სუნიანი მრავლად". მერე იყიდის დიდ ჭურს, ე.წ. „ჩასასვლელს", ჭურს, რომლის გასარეცხად შიგ უნდა ჩახვიდე.

რთველი მისი დამთავრებისთანავე იწყება

კარგა ხანია დამთავრდა რთველი „აზვავებული შემოდგომა ბელელებს ჩაბარდა", შარშანდელ „თერჯოლობაზე" გამოელინდნენ საუკეთესო ღვინის მწარმოებლები, ერთ-ერთი რამაზ რობაქიძეა. ახლა ზამთარია. მინაც „ისვენებს" და მევენახეც, რამაზს საქმე არც ახლა ელევა, ვენახი ძირებშია გამოსაბარი, სინა დასაფიმი, სხვლა-ფორმირებაც დასაწყები, ორგანული სასუქი ვენახში შეტანილი აქვს, თუ თოვლი მოვიდა და ყინვებიც დადგა „ვენახი თბილად" იქნებაო—ასე ამბობდნენ ძველები და ასე ამბობს რამაზიც.

***

დიდი და გამართული ოჯახი აქვს რამაზს და დარეჯანს, შვილები აკაკი, კახა და აკაკის მეუღლე და ორი შვილიშვილი სალომე და სანა მათი სიამაყეა. ამბნეებთ შვილებთან ხშირი საუბარი, მათი ყოველდღიური აქტიური ცხოვრება.

მე კარგად ვიცნობ რამაზის ოჯახს. ბევრი კითხვის დასმა არ მჭირდებოდა, საქმის ტელეფონით მოგვარება ეცადე. „ამოდი, ვნახოთ გამარჯვებული ღვინო, სტუმრებიც მეყოლებაო"- მითხრა. სასწრაფო გამოიძახე, შენი ღვინით დამთვრალ ბიჭებს რა გადაარჩენს თქვა და გამითიშა ტელეფონი.

არ ვიცი მის სახლში რა როგორ იყო, სურვილები კი შეხვედრისას ასე ჩამოაყალიბა: მშვიდობა იყოს ქვეყანაში, ჩვენს ოჯახებში, ჩვენს გულებში, მინდა ჩემი და სხვისი შვილების დაბრუნება, შვილიშვილების სიმრავლე, ქვეყნის გამთლიანება, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ყველამ ვაკეთოთ ის, რაც მართალია, პატიოსანი და ამაღლებულია, ღირსეული და სამართლიანია, და თუ ვიქნებით გულკეთილი, თავშეკავებული, თავმდაბალი, თანაზიარი სხვების ჭირის და ლხინის, სხვა სათნოებებით სავსე, ყველაფერი კარგად იქნება...

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250643)

დანართი 2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმა

№	დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო / პირობებიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 237.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა	3560	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.35.157
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 157.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, იმერეთის ქ 7-ის მიმდებარედ	2360	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.43.272
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 163.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 108.50 კვ.მ.	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოდოგანი	5000	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.03.36.001
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 277.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარდუბანი	8850	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.06.31.237
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 49.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა	1230	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.08.35.166
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 124.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა	2480	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.08.35.168
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალთერჯოლა	3600	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.12.31.001
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საზანო	3500	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.18.42.001
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 211.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოდოგანი	14400	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.03.31.443
10	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1050.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, რუსთაველის ქ. №11	35900	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.39.822
11	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 270.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, რუსთაველის ქ. №69	11500	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.33.741
12	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 46.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, დავით ჯაბიძის ქ. №1	2300	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.33.755
13	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 350.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალთერჯოლა	5300	ელექტრონული აუქციონი (უპირობო) რასასოფლო-ს	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.12.35.618
14	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 68.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა	2400	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.09.42.1015
15	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 180.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვახჭირი	4500	ელექტრონული აუქციონი (უპირობო)	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	33.01.31.811

	ავტომანქანის დასახელება	სახელმწიფო №	გამოშვების წელი	მესაკუთრე	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
16	VAZ 21061 სედანი. მსუბუქი	DAS-888	1986	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	500

მათ ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

გივი სახელაშვილის სახელობისა

„გეოგრაფიული ობიექტების სახელდების" შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი"-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლების 2024 წლის 27 იანვრის „19 / 29250271-29 განცხადების, სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაციის გამარ-

თვის ამსახველი 2025 წლის 10 თებერვლის სხდომის ოქმის და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2025 წლის 04 მარტის დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

„მიზანშეწონილად ჩაითვალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის (მე-2 ჩიხი, პირველი შესახვევი) გივი სახელაშვილის სახელის მინიჭება.

საკრებულოს ეს გადაწყვეტილება სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების პატივგების კარგი მაგალითია.

დიდება და პატივი სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს!

ზურაბ ხაჭაპურიძე

მძიმე ავადმყოფობით სრულიად ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა თავისი ცხოვრების წესით მისაბაძი ახალგაზრდა კაცი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული პიროვნება ზურაბ ხაჭაპურიძე.

ქართულ ჯარში თავისი სანიმუშო ჯარისკაცული ცხოვრებით მან მალე მოიპოვა თანამებრძოლთა და ხელმძღვანელთა პატივისცემა. სამხედრო კარიერაც წარმატებული ჰქონდა. ამის დასტურია მისი კაპიტნის სამხედრო წოდებაც.

ზურაბ ხაჭაპურიძე უკანასკნელ გზაზე დიდი ტკივილით და ცრემლით გააცილეს ოჯახმა, ახლობლებმა, მეზობლებმა და მეგობრებმა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური სოფლის, ბარდუბნის სალოცავის მიწა!

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ტარიელ და ზურაბ რიჟამაძეებს დედისა და ბებიის

ანიჩკა კაპანაძე-რიჟამაძისა

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მარიკა და გიორგი ძონენიძეებს დედის და სიდედრის

ნაზი ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

2 გაზაფხულში გადმოსული ზამთარი...

შეიცვალა 9000 გ/მ სადენი. ამჟამად მიმდინარეობს 1200გ/მ მაგისტრალური ტრასის მშენებლობა ნინნკილადან გოგნის მიმართულებით, რაც ტყის მასივზე გამავალი მონაკვეთის ალტერნატივაა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სოფლის ელმომარაგებას.

გამოკვეთილად აღვნიშნავ, რომ ზამთრის მზადებისათვის განეული სამუშაოები დადებითად აისახა თებერვლის დიდთოვლობის დროს ქსელის მდგრადობაზე. ამ პერიოდში ჩვენს სამოქმედო არეალში მხოლოდ მცირე მასშტაბის დაზიანებები დაფიქსირდა, რაც ძირითადად თოვლის შედეგად ხაზის დაცვის ზონებს მილმა მდგომი მაღალტანიანი ხეების ხაზზე დაცემამ გამოინვია სოფლებში სიქთარვა, კვახჭირი და ნაგარეკი. დაზიანების აღდგენა და ძაბვის მინოდება იმავე დღის განმავლობაში შეეძელითო.

დიდთოვლობის პერიოდში ჩვენ სხვა, მეტად უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევა არ გვქონია. ელენერგია უწყვეტად მიეწოდება, როგორც მოსახლეობას ისე კერძო სტრუქტურებს—გვითხრა ბატონმა აღეკომ დასასრულს.

საინტერესო საუბარი გამოგვივიდა. პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები ვუსურვეთ ენერგეტიკოსებს, რაც ყველა ჩვენგანისათვის სინათლესა და სითბოს ნიშნავს...

დავით კლდიაშვილი

თერჯოლა. ერეკლე კირკიტაძის ფოტო (დრონი)
2025 წლის 24 თებერვალი

P.S. თებერვალი — წლის ყველაზე მოკლე თვე 28-ში მიიწერა, მაგრამ მისი თოვლი, ყინვა-სუსხი გაზაფხულის პირველ თვეში—მარტში გადავიდა.

3 მარტს, ტრადიციულად, დედის საფლავზე ყვავილები მივიტანე. არც იქვე, ახლოს დაკრძალული ქალბატონებისათვის დამინყვეტია გული...

სასაფლაოზე — წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ტაძრის ეზოში თოვლის საფარი ჯერ კიდევ საკმაო სიმაღლისა იყო, მაგრამ მარტის პირველი დეკადის მეორე ნახევრიდან, თოვლმა ინტენსიურად დაიწყო დნობა და დეკადის ბოლო დღისათვის, მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში იგი პრაქტიკულად სრულებით გაქრა...

გაზაფხული თანდადან იკრებს ძალას...

იმედი დავიტოვოთ, რომ გაზაფხულში გადმოსმული ზამთრის სუსხი მომავალ ზამთრამდე აღარ შეგვანუხებს...

გასული ზამთრის მოსაგონებლად კი გაზეთის ამ გვერდზე გთავაზობთ ფოტოსურათებს, რომლებიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, რომ ზამთარი ზამთარია და მას მომზადებული უნდა შეეხვედეთ...

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ტ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872